იარაღით დაიარება, მაგრამ ესენი საშიშარები არ არიან. ამ იარაღით
ისინი იფარვენ თავიანთ თავებსა. ესენი ერთი ლუგა ჰურის საშოგ-
ნელათ მიდიან შორს და სიღარიბესა სწევენ. მარადიდი ორია: ქვეშა-
მარადიდი და ზედა-მარადიდი, პირველი მეორეზე ოთხის ვერსტით შორს
არის. ქვეშა-მარადიდში აკეთებენ ჭოროხზე სასიარულო ნაკებს.

დალამდა. როგორც უზრუნველ მგზავრებს თან საცმელი აჩაყური
არ მოკვეტანა მავმაროეთ შევავახანეს. დიხს, იმანაც მოკვიტანა ჰური
და ყაურმა (მოხრაგული ძველი ხორცი). ერთ გირვანქა ყაურმაში სა-
მი ზახი გამოგვართვეს, ერთი ახლად დაბადებულის ყმაწვილის თავის
ადენა ჰურში—ორი შური საღ-ფარათ. აქ ფული არის საღ-ფარა და
ხურუქ-ფარაჩ ურუქ-ფარა ოსმალას იგულია და ორი ყურუში ერთ ყურუ-
შათ გადის, საღ-ფარა ჩვენი ფარაა. ყველასე მომეტებულად ეს ამბავი კვა-
რს გეჩასნიშ, მაგრამ რა გაუწობოდა, ყველასე დიდი მუცელიც იმას
ჭქონდა... ანგელაზმა ჩამოიარა—დავწექით დასამინებულად, მაგრამ
თქვენმა მტერმა დაიძინოს ისე, როგორც იმ დამეს ჩვენ დავიძინეთ!
მეორე ოთახში მარადიდელმა დადიანებმა დაიწვეს ქაღალდის და ყო

მარის თამაშობა და გათენებადის არ გაუთავებათ. უომარში ხმარობენ ოთხ-კუთხიან ტყვიის გოჭებს. ყველას წინ ეწეო თითო დასტა ადგილის ჩურჩხელა და იმაზე თამაშობდნენ. როგორღაც დამეც ისე გაგქელდა, რომ ბედი გააწეველისა. გათენება ახლო იყო. ავდეგი და გამოკვედი გარედ. მენაკების ბანაკში ცეცხლი ბუუტავდა. ჩემი უძილობისაგან დაქნცულადი თავი იქითკენ გადაქანე. მშვენიერი და გრილი დამე იყო. არე-მარეს მშვიდათ ეძინა. ჭოროხი თავის ტკბილ ნანას უბნებოდა და უთვალავი ვარსკვლავი მშვენიერად ინატებოდნენ წყალში. მენაკებში მოძრაობა იყო. ისინი ამზადებდნენ ხვალის საგმადს. ბევრ ხანს ვიდეგი და ვუყურებდი: ერთი ჭაღარა თმინი კაცი მჭადს აცხოვდა, განაღებულ ცეცხლზედ ხურდებოდა თიხის მთვარის მგზავსი კეტი. იმან მოხილა ხის ვარცლში მჭადის ცომი, გადმოაბრუნა კეტი; გაწმინდა, ხორცის ფერად განურებულს კეცზე გადმოიღო ცომი, გაასწორა და დააყარა ფურცლები და ზედ მოაყარა ცეცხლის დადარი — გამოსაცხობათ მზად იყო; ზოგან ქოთნებთ ღობიო ინარშებოდა და ზოგანაც ცხელ მჭადს შეექცეოდნენ. მეც მომწოდეს: „შიირთვი, ძიავ, ჩვენებური მჭადი.“ უარი არ უთხარა — რომ არ ეწეინოსთ. ის მჭადი იმ დროს კარგ შესქრის ზურად მქვევს. ბევრს ამათანისც ეტობოდა უომარი უთამაშნიათ, რომ მაღ-მაღე ანთქნარებდნენ უძილობისაგან ესენი მუცლის დიდი პატისის-მცემელნი არ არიან. როგორც ამისთანა ალაგას, ისე სახლში ბევრი საკმელი არ იცინ — მჭადი, ღობიო, ზოგჯერ გარეული ფრინველი, ზოგჯერაც ნადირის ხორცი შეადგენს ამათ საკმელს.

— ჰასანა, ერთი გაიზინე ყავახანაში და სულეიმანას უთხარი ერთი ჩიბუხი და თუთუნი გამომიგზავნოს, უთხრა მოხუცებულმა იმასთან ახლო მწოლარე ყმაწვილს. ის იქმნებოდა თოთხმეტის წლისა შუკ თვალებით და ქაღურის სხნით. ჰასანა რომ არ დაეძახა, მე ქალღი მეკონა...

— ჰანუა, მე კერ წავად: ნუსხები აქნა არა მამეს, მეშინია, უზასუნს ყმაწვილმა. მოხუცებული დაჭსჯერდა. ცრუ-მოწმუნებსაც აქ განიერად

აქვს ფეხები გაშლილი; ჭინკების და ეშმაკების აწსებობა ბნელ და უზატრონო ადგილებში ამათთვის დარწმუნებით დამტკიცებულია. ამის-
 ხეებისაგან დასაფარველად მოაღებები აძლევენ ნუსხეს — თილისშეს.
 მინახაკს შიგ ნუსხაში ზატანა ქალადია, ზედ რაღაც უორანის
 სიტყვები სწერია. ამ ქალადს ინახვენ სამკუთხედ დაკეცილ ჩვარში
 და იკურებენ ზურგზედ...

ჩემს ბედზე ამ ჯერად ვერც დღისით გადავჩიო ქალადის მო-
 ხაზაშეებს და ვერც დამეს. მოკელი ჩვენს ბინაში. ჩემ ამხანაგების
 ხვრენამ ისე წამახალისა, რომ მეც წავწყაქი — დილის ტბილმა ძილმა
 შემიპყრა.

შეორე დღეს საქმე ისე ჭანდრაკულად წავიდა, რომ იმ დღეს
 მარადილამ გამოსულა ჩემის ამხანაგებისათვის შეუძლებელი იყო. მე
 უამით და შემთხვევით ვინარკებლე. მივატოვე ჩემი ამხანაგები დროე-
 ბით მარადილში და დავეკვი მიმაგალ ცარიელა ჩავეში, წაკელი მაჭა-
 ხელის-პირას, საცა მეგულებოდა ერთი ჩემი მეგობართაგანი, რომელ-
 თანაც ერთად ჯამის ძირი ბეკრჯერ გვილოცინა.

მაჭახელის-პირას მისვლამდი შემხვდა საზარელი სურათი: ბათუ-
 მიდგან ართვინამდის აკეთებენ გზებსა. რასაკვირველია წინ ხვდებათ
 ბეკრი კლდოვანი ადგილები, ამ ადგილებს აწობენ ლაღუმითა. ჩვენ
 მივცურდით იმისთანა ალაგას. საცა მეუშაობდნენ და რკინის ნალექის
 ზმა კარკვევით მოდიოდა. უეტრად ერთ ალაგას იიუეთა ლაღუმში და
 თითქმის თან ჭვარში აიტანა უშველებელი მიწის ღრუბელი და თან
 კაციცა. ნავი გავახერებინე. სანამ ავიდოდით იმ ადგილას საცა ეს
 მოხდა, იმ კაცმა გაათავა ამ ქვეყნისა — უგრძნოდ ილა გზის პირას
 მწვანე კორდზე. საბრადო აზრუმის მხრის ბერძენთაგანი იყო. იმისი
 დამხვრეული და სისხლიანი ასახე ბეკრ ხანს იყო ჩემს გონებაში
 ჩარჩენილი. შეღონებულმა ამხანაგებმა არ იცოდნენ რა ექმნათ. რუ-
 სის ადაზით გგონებთ არ შეიძლება დამარხვა. მოვასწავლეთ წასკლა.
 სანაწილო უფროსთან, რომ გამოეკრთათ სამგზავრო ბილეთი: საბ-
 ქიოს მანტ თავისუფლათ წასულიყო. რამდენად ათასფურია დაბალის

ხალხის გაჭირება?! ერთი ლუგმა ზურისათვის ერთის თვის სავალზე ფეხით მოდიან და აი-სად კედლებიან! მაგრამ ეს აჭარლებსთვის და მასჯახელებისთვის არ ითქმის. მთელი გზა გავიარეთ ერთი აჭარელი და მასჯახელი არ იყო მუშების რიცხვში. თათრები, სომხები და ბერძნები მუშაობენ. სულა. ამათ როდის უნდა გაიგონ შრომის მნიშვნელობა? მასჯახის თოფი, მჭადი და ძველი ხის ქოხი იმათთვის წმიდა საგნათ არის მიჩნეული.....

რამთონიმე მისასხევე-მოსასხევე კიდე გავიარე და მივედიოთ მასჯახელის წყალთან, რომელიც ერთვის ტოროხს; იმის ღრმა ხეობაში გამოჩნდა ნატარა კოშკის ნაშთი და აქედ რაღაც კედელი.

— ეს რა კედელია, რომ სჩანს, გვითხე მენავეს.

— აქანა ძველი ქოფრი (ხიდი) იყო და წყალმა წვილო. აგერ ზეგით რა სჩანს იქაც უაღა ყოფილა. შიდ ბეკრი ჭინკებიან.

— ჭინკა რა არის?

— ჭინკა — ეშმაკია.

— მეჩე შენ რა იცი, რომ მანდ ეშმაკებიან?

— ვიცი, ბატონო, ერთხელ ერთი იოლჩი (მგზავრი) მიდიოდა თავის ქოვში. ღამე იყო. მაგიარ (თურმე) იქანა დახვდენოდნენ ჭინკები, ასტიურულა! შეეყვანათ იმ უაღაში და მთელი ღამე ეტყეკვებინათ და ამის ეუბნებოდნენ:

შენისთანა გვიანა მგზავრს.

ასე ატიკტიკებენ!

მაგიარ, იმათ ქოჩწილი ჭქოხიათ და ყუიძასს (ხავიწს) აკუთბდნენ, ედგათ ოჯახზე დიდი ცარიულა უაზანი. ყოველა თითებს ჭყოფდნენ იმაში და იმახდნენო: ვინც არა სთქვას, იმისი ბარაქა აქანა იყოს, მინც არა სთქვას, იმისი ბარაქა აქანა იყოს! უაზანი იავაშ-იავაშ (ხელნელა) ივსება და თითონ იოლჩატ უნდა შიდ ჩავედლოთო. მაგრამ იმას რომ ალღახი არ ესხენებინა, ის ახლაც მოხარებული იქმნებოდა, ჭამა ალღახი, რომ გავგონათ, ბითურ (სულ) გაქცეულიყვნენ იგი ჭინკები

მივედით მსკახელას-პირას. მსკახელის-პირი პატარა სოფელია, ღვას ჭორახის პირას პატარა გაშლილ მინდორზე და მთის ფერდობაზე. მთელი სოფელი შესდგება რამთონიმი ხის ქოხებისაგან ერთმანეთზე შორი-შორს, და ორიც დიდი სახლისაგან. ერთში თავსდება იქაური სანაწილას სამმართველო, მეორეში ადგილის ბეგი. სანაწილო უფროსი შინ არ იყო: ცოლ-შვილი წაეყვანა ბათუმში; იმის თანხმობისაგან შესაძარი ადგილი ბათუმში მოეძებნა... დამხვდა იგი, ვინც საჭირო იყო ჩემთვის.

მსკახელის სატასტო ქალაქის გარეშემოში ცოტა შანძილს ნახვით შემუშავებულს. დანარჩენი ადგილები ხელ-უხლებელია. ამისთანა ადგილებიც არის, რომ ვერ ბუნების ბეჭედს იქ კაცობრიობის ხელი არ შეჭებია. მსკახელები არიან მარდები და ლამაზნი. იარაღი თითქო იმათის ტანის ერთი რამ ბუნებითი კუთვნილებასა... მსკახელი მშვიდრი დარჩება, თავს მოიკლავს, მაგრამ იარაღს ვერ მოიშორებს. შურის და სისხლის ძიება ამათთვის წმიდა საქმეა. მსკახელების საზრდოს წყარო — მტაცებლობაა, დავლა... ჩემი მასპინძელი დამხვდა მშვიდრი მუცლით და მხიარულის გაშლილი გულით. თურმე არა თუ ხორცს და სხვა ხორაკეულს, წარმოიდგინეთ, პურსაც ვერ შოულობენ. იმათ დღიურ საზრდოთ მჭადი და ჩაი გახლამათ. აზნაური მჭადს არ სჭამს, მოშივდება ენულსაც შესჭამს! აბა, ასეა ჩვენი სოფელი! ახლა ის შემთხვევა იყო, რომ სტუმარს მასპინძლისათვის უნდა პატრივი ეცა, მაგრამ ეგავს რა ჭქონდა, კაჭკაჭისათვის რა მიეცა. მაინც რა გვიშავდა? როცა გაშლილი გულია, იქ ეველათური ადვილია. იმის გარდა, რომ დამხვდა ამისთანა უდაბნოში — თბილი ოთახი, კარგი ვახშამი და ქართული გაშლილი გული, ქართლის ჩუჩხხელამაც არ დამტოვა უნაწილოდ.

მშვენიერი დილა სტოდნია მსკახელის-პირს. მზემ ამოჭყო თავი. თეთრი ნისლი ვერ არ მოშორებოდა მთების ხუჭუჭ ტყიან თავებს. ჭორახი უფრო ჩქარა მიწობდა, რადგან სიცივეს მოეჭინა; მცირეა ჩინოვნიკივით ეჩქარებოდა სასამართლოსკენ. მზის ამოსვლას-

ზე ნისლი გაქრა, როგორც კეთილის დანახვასზე ბოროტი. მთების კალთები მწვანით მოსილნი შეენების კვალს ასენდნენ. ეტეობა საფეხულში აქ სუფევა უნდა იყოს. ჩვენმა ნავმა ჩამოიარა. მეც ჩაკევი და შეკუდებით ცურვას.

ჯერ შვიდი კერტი არ გვექნებოდა გაკლილი, რომ მიველით აჭარის წყალზე; აქ იწეობა აჭარა. აჭარის წყალი ჰატარა მდინარეა. ის დღეს მოწმედილი მობრუნდა, მაგრამ თუ წვიმიანობაა, ნაშინ გაგიუღება და გავალ გაძნელებას ხოლმე. ნავმა მიგვაცურა ერთ ლაგას, სანა ჭოროხმა ძრვიელ გაგვანახა. აქ არა თუ გერასიმის — ჩვენ ყველას შეგვეშინდა. შვირთები, მონადირესაგან შეშინებულ შეველისავით, დასტოდნენ. ცოტა ჩავიარეთ, შეგვხვდა სხვა ნავი ქვევიდგან მომავალი. ექვსი კაცი წელამდი ტიტველები თოკებით ეწეოდნენ ნავს, გერანებოდათ ვინმე ცოდვილი მიჭყვთ საიქიოსო. შიგ იჯდა ვიღაც ბატონი, რომელიც აღმოჩნდა უფროსის აფიცრის ნაცნობი.

— ბათუმში რა ამბავია? ჭკითხა აფიცრამ და გაჩერა ქალაქის თამაშობა.

— სანუგეშო არაფერი. მხოლოდ აქაზის აჯანყებაზე ლაშარაკობენ. მგონ... მენაგებმა კვლავ გაჩერეს ჩვენი ნავი. გამომშვიდობნენ და გავცურდით.

დიდს წვალეხას და სანადობას ჭსწვევენ საბრალე მენაგებები. აქედამ კი ქეიფით მიდიან, მაგრამ იქიდან ამოსულა ვაი-ვაგლახია. ექვს კაცს ძლივს ამოჭყვთ, ისიც წევა-წევით.

ქალაქის თამაშობა ნავში დღესაც გაჩაღდა და ისე გატახრდა, რომ კაცი ცხადად ამოიკითხავდა ყველას შუბლზე — თუ ვის წაეგო და ვის მოეგო. ერთს მოეგო, უხაროდა, მეორეს წაეგო, ცუცხლი კვიდებოდა და ცხარობდა ცუცხლით სავსე სამოკარისავით, მესამეს არც უხაროდა და არც სწყინდა — არც მოეგო, არც წაეგო. წითელი, ლურჯი და ყომრალი ქალაქებით გაჭრეულა მოედანი. მენაგებმა, რომ დაინახეს, ბუბლები ანთათ. ერთმა ვერ მოითმინა და დაიძახა: ოჭა, ამთონი ფარა რომ მქონდეს, ჩემს ოღღუშაღს ეყოფათ.

— თქვენი ხონთქარი თუ ასე ზენგინის, დაჭა ამთონი ხარჯი რა უნდა გადაგასდევინოს, სთქვა ოსმანამ: მამურები რომ ასეთ ზენგინები არიან თვითონ, უფრო ზენგინი იქნება, დაჭა რად უნდა?

— რა ხარჯი, ძმანო? ბეერი ხარჯი ან გადაგსდებათ. რაც თქვენის სონთქარის დროს იხდიდით, იმასაც ახლა გადინდით, შეტს არა. იმიტომ ატეხილან აჭარელები?

— ეჭ, ბატონო, ონდან ნანი-ხარ! (იქიდან რა გამოვა) ქი ატეხილან! ჩვენმა ხონთქარმა ურუსს ვერა უყო, მაგათ— ის ჩვენ რა უნდა უყოთ. ჭამა კარეს საქმეს არ გვიშვებთ!!

— რა საქმეს გიშვებთინ?

— ნაბილემ (რა ვიცბ) ეს ცობრუთო, ეს ისარა ელა (ისე) არ წამოვალთ, რომ ჩვენი ყაბლები არ გამოხხრებოდნ. ისიც მოიგონეს— ქალების აღწერა ჩვენო მთლები ამბობენ, ქი ჭალა დასწერენო, ეიდა, შემდე ბუთუნ (სულ) ურუსეთში წაიყვანენ და იმათ მაგივრად ურუსულ მათუშვებს გამოგვიგზავნიან, როგორც ყანასის მანქანა ქნეს. ხარჯსაც ბეერს გადაგასდევინებენო. არ ვიცით, კალჭა, ჩვენო საქმე როგორ იქნება!!

— ებ უველა მოგონებულს ამბებია მეთქი...

— ოსმანა, თავი დაიკავე, ჩაღლამია (სვირთებიანო), — დაძახა მეორე თავიდან მენავემ: ნუ ლაშარაკობ.

ახა მობძანდით და ესენი გამტყუნეთ! ვერ ისინი ჩვენ არ გვიცნობენ და ჩვენ იმათ და ქამანდს კი ვისვრით...

შეგანხიეთ რომ ბათუმს მივუხსლოდით. მთები აქ უფრო მდებლობი არიან. ვიწრო ხეობა გათავდა. წინ გაკვეშალა კახაბერის მინდრები, რომელიც საამოდ მოფენილნი არიან მთების ძირებში. აქ ცხოვრობენ ქურთები, ესენი მისდევენ სიმინდის მოყვანას და ცხოვრობენ ზაწაწინა ხის სახლებში; ქურთისაგან ამთონი მარიაფათი! დმურთმან იცის, ესეც შეტია...

ავერ უამოხნდა ზღვა — ძლიერი სტიქიონი. ზღვის ნახვის სურვილი ჩამიკარდა გულში იმ ტკბილ — მოსაკონის დღიდან, როცა ჩვენმა მასწავლებელმა ავიხსნა პირველად ზღვის კითხვება, მისი ძლიერება და როცა პირველად გაგიგონე, რომ ჩვენი მტუტე-მწარე ცხოვრება ზღვას ემგზავსება!... დიახ, მინახავს ჩვენი ცხოვრების ზღვა, მაგრამ — ზღვა ინგლისის ნაგებით — არ შენახა. დიახ, შენახა, რომ ჩვენი ცხოვრების ზღვაში ბორბოტი კაცები ბორბოტით დატვირთულ ნავითა დაიარებიან და არ იღუპებიან, მაგრამ ნავი, — საზღვარგარეთის საქონელით და ადამიანებით სავსე, ჩემს თვალებს არ ენახა. კი შენახა, რომ ჩვენი ცხოვრების ზღვაში — ზვიროთებში „წვრილი“ ადამიანები ჩაღასავით ტოკიალობენ, კი შენახა რომ დაფურცავს ქონდრის კაცები თავიანთ არ-სანდო ნაგებით, რომლებსაც განსხვავებული სულ მუდამ თავს დასტრიალებს, მაგრამ ჰატარა მარადილში გაკეთებული ნავით ზღვის ტალღებში სიარული არ შენახა!... მადღობა დმერთსა, ესეც ვნახე. თუ არ მოკვდით ჯერ ბევრ რასმეს ვნახავთ!...

უფრო და უფრო მივუახლოვდით, უეცრად თვალო-სახელი გადიშალა და წინ გაკვეშალა ზურმუხტის ფერი ხალისა — ზღვა. მე, როგორც ზღვის უნახავმა, ჩემი უურადლება მივაქციე ზღვას და იმის უოკელს მოძრახას სვალს ვადეგნებდი.

— იმან, მიშველეთ! უეცრად დაივიძრა გერასიმამ, მე ამ ოკვიანდში ვერ შემოვალ! მეში...ნი...ანი! ვა, ეს რამოდენა უოცილა, ჩვენ უსუმანში შენახა, ასე დიდი როდი იყო! მეტყებით წავალ... თუმანი და ზუთი შაურდი რომ მომცეთ, მე ვერ შემოვალ...

— ფეხათ არ წავსვლება გერასიმ უარსადანინ, ტორმეტი ვერსტია, ათე მანეთი და ათი შაურციანოში მისცეთ, ცხენს ვერ იშოვნით.

— მამ რა ვქნა? ჭა? ტერ...სულუაწ!

— რა უნდა ქქმნა, ავერ მიგდივართ...

— არა, არა! მოდებო თვალებო ამიხვეთ, იქნება რომ არ დავიანახავ, ზუშინ არ შემეშინდეს!

ჩვენც ის გეინდოდა. ვნაზმა მარდად მოიხსნა თავისი მუდის უბაღასნი და მაგრად შეუსვია გერასიმას თვალები.

ჩვენმა ხარხარმა ერთი დიდი ფრინველების გუნდი დაიფრინა. ზღვის შესვალში ჭოროხნი განიერდებოდა. მარჯვენა მხარეს იშლება გძელი შინდორი, რომელიც მოკლებულია ტყეს, მხოლოდ ნაბუჩქნარებია სოფან. ზღვა ჯერ ჩვენს ნაგს არ კადრულობდა: რამდენჯერაც მენაკები იერიშით მივიდნენ — ტალღამ უკან მოაბრუნა ნავი. ბოლოს იერიში ძლიერი და საკრთო იყო, ტალღებმა თავი მოიხარეს და გზა მიჭირეს ჩვენს ნატარს და გამბედავს ნავსა. შევედით ზღვაში. რაგორც ბურთა ისე აქანეს და ათამისეს ტალღებმა ჩვენი ნავი.

კარგა ხანს ვაჩრეთ ზღვაში. ჯერ გავიარეთ ჩერქეზების სოფლის წინ. ვიარეთ ცოტა გიდეკ და მიველით ქალაქში. მივაღქეთ ზღვის კიდეც და რომ გადავხდით სმელეთსედა, მაშინ თავისუფლად ამოვი-სუნთქეთ, რასაკვირველია გერასიმას ცაღმოყვანსედა თავის წესი ავასრულეთ.

ვევლამ თავისი ბუნაკი მოხსნეს. მე კიდეც დამხვდა ქართული ჯანალებუდი ბუხარი და ქართული კეთილი გული.

ბათუმი მოსაწონი ქალაქია. განათლებულ ნაწილში სხვათ სწორე ქუჩებს, სამ-ოთხ სართულიან სახლებს და ვეველა ქუჩის თავზე გოსტინიცას — სასტუმროს. ის სემივიტოვი: რომელსაც ბევრს სხვათ ჩვენს სატანტო ქალაქებში, რომლებს გარების ზეიდამ აცინარზე. ჭხატვის შემწვარა ქათამი — იცებოთ ზეიით ამვერილი და ზედ ჩანგა-ლი დარტობილი, სარა ჭეჭეიანი ტბლები და გიბებოთ გულს აზბ-რევს — აქ გასტინიცად არიან წოდებულნი და მით ამართლებენ თავანთ მნიშვნელობას, რომ ქათამის და სოთლით მაგიერად შებღუკ აწერია „гастиница сномером“... ძველი ნაწილი წარმოადგენს თათ-რულს ტალახიან მიგრეხილდომორებს ქუჩებიან ქალაქსა.

ხალხის მადობა, ვაჭრობა სავმარისია. ჯერ ბათუმი ურმაა. მომავალში იმედია გაიზდება და ოდესსა და შემსგავსებდა. ვრცელი მდ-

დორი კახაბერაშვილი ნებას მისცემს მას — რამდენიც უნდოდეს ფეხები გაიჭიმოს. წინ ზღვა, უკან მწვერვალი აჭარის მთები ღამის სანახვად ხდიან ბათუმს.

ბათუმი პორტო-ფრანკოა, ესე იგი, იმისთანა ქალაქია, სადა „უფა-ტენტოდ“ ვეკლავთ მთავრობის ნაკს და ხალხს უფლება აქვს თავის უფლად შევიდეს... მაგრამ ეს წოდება მარტო დამოუყნაშია დამკვიდრებული, ქალაქშივე არ მიუხვდება, თუმცა არ გინდა კი, რა შემთხვევით, შეპარულა აქაურ გოსტინიცებში. გოსტინიცებში სუფევს და უფლება მისი გურთხეული არს! ამ პორტო-ფრანკოებში ვეკლავ კაცი შემოდის: მთვრალი, ფს.სული, ავი, კარტი, ქურდი, როსკიპი და პატიოსანი. თავისუფლობა და დაუდევრელობა სრულია. თუ კინდა პერანგა იარე — ხმის გამცემი არავინაა. აი მიუვარს ამისთანა ადგილი! თუმცა ოთხ-გედელ შუა ხარ, მაგრამ მაინც თავისუფლად ჭსუნთქავ?!
 მეტადრე „გოსტინიცა“ როსსიაში (მგონია), სუფევს! მეჩანტა-ქალები, როგორც ანდამანტი, ისე იზიდავენ ხალხს თავიანთის სტერიკებით — შიანურებით, სირინოზის ხმით და უჩუქნა თვალებით რამდენს ჩხუდ გულს ააოხრებენ და რამდენ ცარილს ვიბებს ცოცხს უსძენს!... წარმოდგინო, გურთხეული ქვრივის სიმღერა აესტრიელ ქალებადი მიხვებნილა, ისინი რა დაძახებენ: „კვრივი მივარს, კვრივი მე, კვრივი, იმის სულის ჩირიპე“ ან „მიუვარს კვრივის კიჩები, ნეტავ, რას მეპრანჩები“ უნებურად რაც ქვრივისა შეგვივარდუბათ!... ამ უკონობისა ღრთს ქვრივება გაიუფდენ, მაგრამ იმათი ხსენება და ფასი არ გაიუფდა. ნუ თე რუსოველის სიტყვები: „რა კი ტურჟა გაიუფდეს არა ღირდეს არა ჩირადა — არ უნდა გამართდეს?...“

მეორე დღეს ეაკადრდა. ბათუმს ნაღვლიანი ფერი დაეღო. ქარი, წვიმა, ტალახი, ადამიანები ერთმანეთში აიძვინენ. ზღვამ ხმელეთს ომი გამოუცხადა; გაჩნდა საშინელი ღელვა. გუშინდელი წინა-რი, დინჯი ზღვა; დღეს ეპრანჩებულა აქაფდა, საშინელის ხუდილი

მეორე დღეს ეაკადრდა. ბათუმს ნაღვლიანი ფერი დაეღო. ქარი, წვიმა, ტალახი, ადამიანები ერთმანეთში აიძვინენ. ზღვამ ხმელეთს ომი გამოუცხადა; გაჩნდა საშინელი ღელვა. გუშინდელი წინა-რი, დინჯი ზღვა; დღეს ეპრანჩებულა აქაფდა, საშინელის ხუდილი

და გზიანით, როგორც მსხეში სავარდნილი ღოში, ეცემოდა კიდებს, გეგარსებო ამდანი საუფროების მტყულობით მობესრებულა და განთაისუფლებას თხოულობსო; იმისი ტალღები, მთასავით ზე-აღმარ-თული, მძრობდნენ რისხვით და კვება-ქუხილით, მაგრამ რა კი ხმელეთს მოაწულებდნენ, თავს ძღვრდნენ ხმელეთის წინ და უკანვე შრებდებოდნენ, რადგან ერთმანეთს არ ეთანახმებოდნენ: მოზობდნენ ცალ-ცალკე, ამიტომ შუღამ მარცხი ამოჭსდიოდათ, მოჭსდიო და მოუგათ კიდვცა...

ბათუმი სავარდა გაღვალა. ჯერ მიიღეს ტელეგრაფმა, რომ „რიონი“ — ცენტლის-გეში გამოვიდა ფოთიდანო. უკადეს დანიშნულ დრომდე — არ განხდა; მოახლოვდა საღამო — არ არის „რიონი!“ არც „რიონი“ და არც იმისი ნატეხი! უგელას მიეცა შიში. საქმე იქნობამ-დი მივიდა, რომ ბეგრმა შენდობა შეუთვალეს ორას კაცს, ბეგრმაც გამოიტირა ნათესავები, და ბეგრმაც საქნელი. საეშმაკოდ, ტელეგრაფიც წახდა. ტეინ შემგროხალი კაცები შეხვდებოდნენ თუ არა ერთ-მანეთს, თვლებს აჭყეტდნენ და გამარჯვების მაგიერად — „რიონი“ შოვიდა?! ეკითხებოდნენ. აკერ ტელეგრაფისტი რომელიც ამისთანა გაჭირებაში უნდა გამოგადგეს — დღეს განზე დადის და ამისთანა კაცების დღეს უგელას ანუგეშებს სიტყვით — „Повреждение!“ სხვა რას იტყვიან, როცა მცირედ გაავდარდება თუ არა, ტელეგრაფის სუსტი ბოძები იწყობენ ტალახეში გორვას, როგორც რუსეთის მთვრალი მუფიკები.....

მართლა, ჩვენში განა იმისთანა საქმე არის, რომელიც არა ჭყარდეს! ან დაიბადება იმისთა საქმე, რომ მოლლა-მისრადინას ყირი-სავით გუდ-მოჭრილი არ იყოს!?... არა; სანამ ჩვენში არის საკუთა-რის ჯიბის თაყვანის-ცემა; ან სანამ იმისთანა „მოდან“ არ შემოვა, რომ ტანისამოსზე ჯიბე“ არ ეჭკროს — მანამ ასეთ ვიქმნებით, რო-გორც სულოფილკართ.

ქვს, სმას თავი დაჯანთობო, — რა ჩვენს საქმეა, ჩვენ ისევე „რიონი“ უკუბოთ შავ ცღვასი...

იმედი დარჩა «ბაბუშკა» — ცეცხლის-გემზედ. ორ-ჯერ გაგზავნეს
 სამუშაოდ. შირველზე კერაჟური კერა ქმნა. მეორე-ჯერ წავიდა და
 კიდევაც წამოიყვანა თერ-წასული უსასაყირები. მეორე და მესამე
 დღეს ჭაერი დაწუნარდა, დადინჯდა. ადამიანებმა იწუეს კასკასი — მეჩან-
 გე-ქალებმა — სიხარული და როკვა. მე წამოვედი ჩემს უდაბნოსკენ.
 ბათუმი დარჩა თავისის მხიარულის ერიო და აჭარიდგან გამოქცეუ-
 ლის მოხელეებითა.....

ს. ბაგრატიონი.

1878 წ.

ს. არღანუჯი.

ცხომეცხე და კანონი.

დასასრული მესუთე წერილისა *.

რა კი წესდება გამოაკლო სოფლის თვით-მმართველობიდან სოციურთი წოდებანი, სოფლადკე მცხოვრებნი, რა კი არ მიანიჭა მათ არა რაიმე სძა და ურუღება სოფლის გამკეობასა და წარმომადგენელობაში,—ამას, რასაკვირველია, ისიც ზედ უნდა დაჭყოლოდა, რომ ისინი სოფლის მმართველობის ქვემდებარეობითაც განკითავისუფლებინა. ასეც ძოახდინა, 23, 36, 39 მუღხთა ძალითა უველანი ვინც კი გლეხ-კაცობას არ ეკუთვნის—თავადნი, აზნაურნი, მღვდელი, დიაკვნები, მოქალაქენი, სოფლად მოვაჭრენი, მესატრანსეების წინა-მოსამსახურენიც კი—თავისუფალნი არიან სოფლის სამმართველოს გამგეობისაგან; გერც სოფლის უფროსი მოხელე—მამასახლისი, გერც სოფლის სსსამართლო მათ გერ შეეხებიან. ამით წესდება ხელ-ფეხი შეუგრა სოფლის მმართველობას; ამით უარ-ჭყო მეორე ძირეული კანონი თვით-მმართველობისა, სახელდობრ იგი რომ ადგილის სამმართველოს ხელ-ქვევით უნდა იეგენ უველანი, ვინც კი სამმართველოს წრეში ჭსტხოვრებს; ამით უარ-ჭყო პირადი თანასწორობა კანონის წინაშე, თანასწორობა, რომელიც სულა და გული უოკელის წუობისა და ნამეტნავად თვით-მმართველობისა. უამისოდ თვით-მმართველობა უქში სიტყუას, უნაყოაუო ხეა უამისოდ სოფლის სამმართველო თავის დღეში გერ მოიხოკებს მცხოვრებთა თვალში იმ პა-

*) ჟურნალი „ივერია“ № 1.

ტივს, რომელიც სანატრელია და ურთმლისოდაც მისი წარმატება და სიკეთე შეუძლებელია.

24 მუხლი წესდებისა მამასახლისს, ესე იგი, უფროსს სოფლის მოხელეს კალად ჭსდებს წესიერება და მშვიდობიანობა არავის არ დაარღვევინოს, ადამიანთ და იმისი ქონება ავ-გაცობისაგან დაცულ ჰქონს. თუ ამ გვარებში დამნაშავეა გლეხ-გაცი, მამასახლისს გზა აქვს გახსნილი მშვიდობიანობის და წესის ადგენისათვის. მაგრამ დანა-შაულობა განა გლეხ-გაცის აუცილებელი თვისებაა? სხვა, არა-გლეხი, სოფლად წრეში მცხოვრები არ არის მითამ საშიშარი წესისა და რი-ვისათვის, ადამიანის მშვიდობიანობისათვის, მის ქონების ხელ-უხლებ-ლობისათვის! რა უნდა ჰქმნას მამის მამასახლისმა, როცა ამ გვარებ-ში დამნაშავედ გამოდის არა-გლეხი? წესდების 23 მუხლის ძალით გულზედ ხელი უნდა დაიკრიფოს და სერიუს უფროსს. ამისთან უღო-ნო მოხელეობას რა პატივი უნდა ჰქონდეს ხალხის თვალში და რა ზედ-მოქმედება გლეხ-გაცზედ, თუ სხვაზედ?

სოფლის სასამართლოც ამ დღეშია. მას წესდების ძალით ხელი მიუწვდება მარტო გლეხ-გაცზედ. თუ გლეხ-გაცმა დააშავა რამე, წაუხ-დინა რამე ვისმეს, ან პირობა არ აუსრულა, ყველას სოფელში მცხოვ-რებს! თავადს, აზნაურს, მღვდელს, დიაკვნს, მეღუქმეს, ნება აქვთ იქაც თვალ-წინ უხარჯოდ, მოუტყენულად სოფლის სასამართლოს შემ-წეობით გადახდევინოს გლეხს სასჯელი, თუ საზღაური და თუ არა-გლეხმა გლეხს დაუშავა რამე, წაუხდინა, პირობა ან აუსრულა, საწ-ყადი გლეხი იძულებულია. ათს, ოცს, ოც-და-ათს ვერსტზედ გაიქცეს, მომრიგებელ-მოსამართლეს მიჰმართოს, რამდენიმე დღე წასვლა-მოსა-ულაში დაჰკარგოს, მერე რამდენიმე თვე საქმის გარჩევას ელოდოს, მერე კიდევ დაიბარონ, ფიდეგ მოჰსცდეს რამდენიმე დღე, წასვლა-მოსაგულში, ჭამა-სმაში ტყუილ-უბრალო ხარჯი გასწიოს. ეს უოვე-ლი იმისთანა შიში რამ არის გლეხისათვის, რომ მის გამო გლეხი უფრო ხშირად იძულებულია თავისთა დანაგერა არა-გლეხისაგან გულში გაბოროტებით ჩაიმაწოს, ხელი აიღოს საჩივარზედ, გული აიყაროს

კანონსკადაცუკ რაზმელიც მისთვის ისე მიუწოდებელია, როცა დიდო
 ჭსნაკრავს, გუფი აიყაროს თავის სამმართველოზედაც, რომელიც
 უღონოა დიდის წინაშე, რა წარმომადგენელია უფლებისა იგი წეობა,
 რომელსაც ხელთ მიუძღვინ მარტო გლეხ-გაცსუდ, ამ დაბაღ-ღობუო
 ზედ და აწა-გლეხის წინაშე კი გულზედ ხელს იგრეოს! რა წარმო
 მხდგენელია უფლებისა იგი წეობა, რომელიც დიდის წინ ნაწინადაიქ
 ტევა ხელზე და დაბლის წინ ტეცხლად! რა ზატვიით უნდა უფურებ-
 დეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც დიდისაგან გაჭარბუფას აწ
 ესაწმლება, აწას შეუღის და რომელიც დიდისათვის კი თავს ცამოი
 დებს ხელზე, როცა ზატრისაგან გაუჭირდება რამ! რა ზატვიით უნ-
 და უფურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც ხმას აწ იღებს
 უღონობით, როცა გლეხს თუზატრუნიად ხდის აწა-გლეხი და როცა კი
 აწა-გლეხს უზატრუნიება მიადგება გლეხისაგან, მასინ კი ძალსა და
 ღონეს იხენს? ან თუითონ სამმართველომ როგორ აღასრულოს 24
 მუხლის მოთხოვნილება, როცა სოფელში იმისთანანიც არიან, რომ
 მელნიც სოხელის მმართველობას აწ ეხელქვეითებიან?

წინადაც მოუთხისკენება და ესლაც ვიძეოკრებთ, რომ შეუძლებ
 თვით-მმართველობას საზოგადოდ და სოფლისას ეკრძოდ რნი მხარე
 აქვს: ერთი მთავრობითი, მეორე — საზოგადოებითი; პირველით სოფელ
 ღის თვით-მმართველობა მთავრობის პირველ-წყობის ორღანოა, მეორ
 რით — საზოგადოებისა, სოფლისა; პირველით უმსახურება სახელმწი
 თის, მეორით — საზოგადოების; პირველით წარმომადგენელია სო-
 ფელში მთავრობისა, მეორით — მთავრობაში სოფლისა. წინად (ეურ-
 ნლარ რეფერია № 1) გასინჯული გვაქვს სოფელს თვით-მმართვე
 ლობა რამოდენად წარმომადგენელია ჩვენში სოფლისა, საზოგადოე
 ბისა; ჩვენ იქ ის აზრით გამოვთქვით, რომ ჩვენ სოფელს თვით-
 მმართველობითი წეობა წარმომადგენელია მარტო ერთის წადების
 და აწა-მთელის სოფლის საზოგადოებისა; მთავრობითი მხარეც
 რომ გვაუსინჯოთ ჩვენს სოფლის მმართველობას აქაც ბევრს საუ-
 გუმეს ვერას ვიძეოკოთ

მთავრობითი მხარე თვით-მმართველობის იმით არის შიშობიანი საზოგადოებრივ უკუღმართობას და გლეხობისთვის საკუთრივ, რომ ამ მხრით სოფელს თვით-მმართველობა მასობრივი მთავრულია მისი, მისი ადამიანობისა, მისი ღირსებისა, მისი პატივისა და ქონებისა. რაკი ზემოხსენებულთა მუხლთა (23, 36 და 39) ასე შემოატყვევებენ თვით-მმართველობას, სახარბიულო რაღა დარჩა გლეხს თვით-მმართველობაში? რაც მასთვის სასურველი იყო, ის ჩამოტყვევებული მთავრობითსა მხარეს თვით-მმართველობისა; სხვა, ამ მხრის რაღა დარჩა თვით-მმართველობაში გლეხ-კაცს სახარბიულო და ხელ-შოსაჭიდი? არაფერი. თვით-მმართველობა შეიქმნა მხოლოდ ორჯანად, რომელმაც აღსრულებასში უნდა მოიყვანოს ყოველი ბძანება უმადლესის მთავრობისა, აბეჭდოს ხელის, ხარჯი ახდევინოს და სხვა ამგვარი, ესე იგი, რაც გლეხ-კაცს სამშობლოდ მიანიჭა, იმაში ძალა უნდა დაატანოს. და მართლაც ამის მეტს არც არას აკეთებს სოფლის სამმართველო, და არც არავინ ნაღველთს რომ მეტი რამ გააკეთებინონ. ამის გამო ამ მხრით სოფლის სამმართველო გლეხ-კაცს მარტო მარტოს უფროსის ჯობად მიანიჭა, რომელიც დღე მუდამ მის სახლის დირექტორად მიუღებულა და არა მთავრობითის ძალის წარმომადგენელად, რომელმაც მთავრობის ნებაც უნდა, ასრულოს და ჩაგრულთაც მთავრობა გაუწიოს ყველგან და ყოველის წინაშე. ამ სახით, ჩვენს სოფლის თვით-მმართველობას უკეთესი მხარე ჩამოეცა და მარტო იმ კვლში ჩადგა და გაისისწორება, რომლითაც იგი უფრო ნაკლებს სანდობდა გლეხ-კაცისათვის. რაც უნდა იყოს, კაცს ყოველთვის ენდობება, რომ თავში სხვაში ჯობს პატარა მხრის იყოს და არა ცხვირ წინ, რაკი უმისობა შეუძლებელია.

ამიტომაც გლეხ-კაცი ეკარგება ანაწილს თავის სამმართველოს, რომელიც მისთვის ყველგან არ არის გამოხატეტი არც ფარად, არც ხმლად; ამიტომაც თავის სამმართველოს მოხელე კაცი და თვითონ განიხილავს მისთვის ჭკობის მოტონილი, რომ მარტო მე მადინოს ცხვირში მმართველობა დაუშვებო, ან როცა სახელმწიფო სუამსახურ-

ზედ უკან დავიწყო, წაღვანაც არც მოხელე და არც კანონი მოსახლე და მივარკველად არ გამოჭსენინა; ამიტომაც იმედი აქვს აყრილი კანონზედაც, მის ძლიერებაზედაც, მის მიუდგომელობაზედაც; ამიტომაც იგი ისე გულ-გრილად ეკიდება მოხელეთა არჩევანის საქმეს: მისთვის სულ ერთია ჰეზია იქმნება თუ დათუნა. მე ხომ ჩემი ხარჯი და ბეგარა არ ამცდებია და გაჭირებაში კიდევ არც ერთს შეუძლიან შეეღა, არც მეორესა, ამბობს გლეხი.

ამ სახით, ჩვენს თვით-მმართველობას სოფლისას ჩამოთლილი აქვს ის მხარეც, რომლითაც იგი წარმომადგენელი უნდა იყოს საზოგადოებისა, ესე იგი, მთელის სოფლისა და ის მხარეც მთავრობითის წარმომადგენელობისა, რომელითაც იგი უფრო სანატრელია გლეხ-კაცობისათვის. ჩვენმა წესდებამ თუმცა კარგა ფართო მოკედანი შემოუხსნა სოფლის თვით-მმართველობას სავარჯიშოდ და სამოქმედოდ, მაგრამ თვითონ ფალავანს კი ხელ-ფეხი შეუკრა; ამიტომაც ჩვენს სოფლის თვით-მმართველობა ასე უნაყოფია, ასე უმოქმედია იმ სიკეთისათვის, რომელსაც ყოველი კაცი სამართლიანად გამოელოდდა თვით-მმართველობისაგან.

სიკეთისათვის ხომ ასე ფართო-მოკვეთია ჩვენის სოფლის თვით-მმართველობა, ბოროტისათვის კი ფართო გზა აქვს. თუ ვინცოცაა სოფლიში მოხელეა, მკალითუბრ, მამასახლისმა, ნაცვალმა და მოსამართლეებმა ვნება რამ მიაყენეს სოფლის მცხოვრებსა, ამგარად უკანონობა გაუწიეს სოფელს საზოგადოდ, ანუ თვითვე უღს მცხოვრებს ჩაღკუდ, ვნებულს ნება არა აქვს, ჩვენის წესდებით, საზოგადო სამართლის წინაშე იძიოს თვისი დანაკლისი, ნება არა აქვს საზოგადო სამართლით ქსდევნოს დამნაშავეს და ბოროტ-მოძქმედს მოხელესა. 72 და 73 მუხლისა წესდებისა ამბობს, რომ ყოველი სამართალი ამ კვარკებში უნდა მიიზრთოს მასრის უფროსისადმი და თუ იგი დანახავს, რომ მოხელე კაცი ღირსია სამართალში მიტევისა, მხოლოდ მაშინ უნდა მიეტყოს მოხელე სამართალს. სოფლის მოსამართლეებს კი სამართალში აძლევს მართო გუბერნატორი ისიც მასრის-უფროსის წარდგენითა. ჩვენს წესდებს დავიწყებული აქვს, რომ

მანრის-უფროსიც და სოფლის მოხელეც ორივე ერთ-გვარი საფუძვ-
რები არიან ერთისა და იმავე კიბისა; ორივესათვის ერთ-ნაირად
სასურველია, რომ უფლების წინაშე ყოველივე მტყუანი იყოს. თუნდ
ეგვედ არ იყოს, ის კი ცოცხან, რომ ხშირად სოფლის მოხელე და
მანრის-უფროსი ერთმანეთს ხელსაჭინებენ, ერთმანეთს გადაებმან
ხელზე უსურვანზივართა ამატომაც სოფელი არ არის, რომ არ უნი-
ვოდეს მოხელეთა აკაკობას, მაგრამ ახა ბევრი მაგალითია რომ მო-
ხელე სამართალში იყოს მიცემული? ამიტომაც მანრ-მგებლან სოფ-
ლის მოხელეთა თითქმის სრულიად გაუქმებულა. ამ სახით დარ-
ღვეულია მესამე ძირეული კანონიც თვით-მმართველობისა, სახელდობრ,
ისა, რომ ყოველივე თანამდებობის მექანი კაცი მანრ-მგებელი უნდა
იყოს საზოგადო სამართლისა და სამჯავროს წინაშე და არა წინაშე
თვისთა უფროსთა. ეველან უნდა ქქონდეს ნება, მოხელეთა უფროს-
ის დაუკითხავად, ქსდვენოს ბოროტ-მოქმედს მოხელეს საზოგადო
სამართლით და იპიოს მისტან ყოველივე უგანონოდ დანაკლისი.

ამ სახით ჩვენის სოფლის თვით-მმართველობას ოთხიდან სამი
უმთავრესი საფუძველი თვით-მმართველობის აგება: 1) ხმა და არ-
ჩვენის უფლება უნდა მინიჭებული ქქონდეს ყოველს ადგილობრივს
მცხოვრებს, — და არა აქვს; 2) ადგილობრივ სამმართველოს ყოველსა
ფერში ეველან უნდა ექვემდებარებოდნენ, ვინც კი მის წრეშია, —
და არ ექვემდებარებიან; 3) ყოველივე მოხელე მანრ-მგებელი უნდა
იყოს ყოველის წინაშე, ვისაც რასმეს დაუმაკებს, და უნდა იდევენ-
ბოდეს საზოგადო სამართლით და არ იდევენბა. მეოთხე საფუძველიც
თუ დარღვეული არ არის მთლად, შერყეული კი ძალიან არის, სა-
ხელდობრ, მით რომ ადგილობრივ მოხელეთა და მოსამართლეთა
ეველა სოფელში მცხოვრები ბინადარი არ ირჩევს და ირჩევს მხო-
ლოდ უღებო ცალკე კომლად კამრალის აღწერაში ხსენებული.

ყოველ ამის გამო ჩვენის სოფლის — სამმართველო და მისნი
მოხელენი მოღონის ბრმა-მსახურებს და დარჯებს უფრო წარმოდ-
გენდენ, ვიდრე სოფლის საზოგადოების ინტერესებს. ამას ისიც

დაუმატეთ, რომ პირველ ხანებში და ბევრგან ესლავ ზენის სოფლის მმართველობას იმისთანა მასრის მოხელენი შეხედნენ, რომელთაც გაუნათლებლობისა და სიბრყულისა გამო არ ესმოდათ სიკეთე თვით-მმართველობისა და ვისაც ესმოდა, თვალში ერთირობოდა, როგორც მის უფლებების მოცდე რამ. და რადგანაც მასლობელნი მწვერთველნი სოფლის სახდის მოხელეობისა ისინი იყვნენ, რასაკვირველია, სოფლის სამმართველოში მხარეს უფრო გაუპრტყელებდნენ, რომლითაც იგი მათთვის უფრო გამოსადეგი, უფრო სახეირო იქნებოდა და უფრო სასურველი მათისა პატივ-მოყვარეობისათვის და თავ-მოწონებისათვის. ეგრეცა ჭქმნეს. მათ სოფლის სამმართველოს ჩამოატაღეს ის მცირედი საკეთილ საზოგადოებრივი, რომელიც ნაპერწკაფსავით ბუფტავს წესდების ზოგიერთს მუხლში და შეჭქმნეს იგი მარტო დაბალ საზოლიციო ღრღანოდ. ამ სახისა ესა ზენის სოფლის სამმართველო. დღესაც იქამდინ გაუპატიურებულა სოფლის სამმართველო, რომ გლეხ-გაცი მინამ სოფლის სასამართლოში შევა, ჯერ საჭიროდ ხედავს მასრის უფროსთან გამოიქცეს და ამსუბა ჭსთხოვოს სოფლის სასამართლოში საქმე გამიჩიოსო. მასრის უფროსებიც ამდევნ ამისთანა ბძანებეს, თითქო, თუ არ მისის ბძანებით სასამართლოს ნება არა აქვს საქმის განხილვაში შევიდეს. ამისი მაგალითი ერთი და ორი კი არ არის, ეს თითქმის უველგან ჩვეულებად მრადებინეს გლეხ-გაცს. აი სადამდი ვაიწვდინა ფეხი და ხელი მასრის მმართველობამ, რომ თვირონ თავი აიმაღლოს, ხალხის თვალში შირს დაჭსტეს სოფლის მმართველობა და თავის უფროსრილ უმად გაიხადოს. ჩვენ ამის დადრ ვამბობთ რა უპატიურად ექცევიან თვითონ სოფლის მოხელეებსა. მამსახლისი, სოფლის მოსამართლე, რომელთაც თვითონ ბისმარგიც ვი საჭიროდ დაინახავდა ხელი გაეწოდა როცა შეხედებოდა. ბევრჯერ მინახამ, რომ მასრის უფროსებს ჩაფარს მათრახის წინ გაეგდოს. თვითონ მასრის უფროსი როგორ ექცევა ან ერთს, ან მეორეს, — მაგას ნულარ გვეით ხავთ. ერთის სიტყვიით — სოფლის მმართველნი, სოფლის ამოწველნი კაცნი, სოფლის წარმომადგენლნი დღეს მასრის უფროსის და პრისტაგების ბიჭებათ არიან და არა მოხელეთ.

... ეს არის ქმთავრისი მიზეზი, რომ გლეხ-გატობა არა ჭკმნობს და არც განთავსების თავის სამმართველოებსაც არა რაიმე სიკეთეს და ეგველა იგი არც თავისად მიიჩნევს; აი ეს არის მიზეზი, რომ სოფლის სამმართველო უოკელ-მხრივ დონე-მინდვლია სიკეთისათვის; აი აქ არის სათავე იმ სამდურწავისა, რომელიც უოკელ-მხრივამ ისმის სოფლის სამმართველოებს და მის მოხელეებს; აი ეს არის მიზეზი, რომ სოფლის მმართველობას კაი კაცი ერიდება და მოხელეობას არა კისრულობს; აი ეს არის მიზეზი, რომ გლეხ-გატობა თავს არ იცხელებს კაი კაცი ამოვირჩიოკო და თვითონ აწიკვანიც თამაშისთვის მოგონილი ჭკონია.

ჩვენ საქმდის განვიხილოთ საფუძველნი თვით-მმართველობისანი და მძღვებისამებრ ვაჩვენოთ, რომ იგინი უარ-ყოფილნი არიან ჩვენს წესდების მიერ; ესეა იმას გარჩევას შეუდგებით, — მაგ სახის წესდება ცნობიერად მანც შეუფერეს თუ არა ჩვენს ცხოვრებასა და თვითონ საქმინ მოთხოვნადებსა.

ჟურ პირველად ვიტყვიან ისევე თუ რა არის მიღებული საფუძველად სოფლის საზოგადოების შედგენისათვის, სახელდობრ, რის ძალით უნდა შემოეკლას წრე იმ ადგილს, რომელიც ერთს სოფლის საზოგადოებას შეადგენს. 2 მუხლი წესდებისა ამბობს, რომ სოფლის საზოგადოება უნდა შექმნას უოკელ გლეხთაგან, რომელნიც ერთს სოფელში ჰსცხოვრობენ. აქ საფუძველი ცხადია და საბუთიანიც ხოლო საქმე იმაძია, წერხლმა სოფლებმა რა ქმნან? 3 მუხლი წესდებისა ამბობს მხოლოდ, რომ წერილი სოფლები ან მიეწერებიან მახლობელს საზოგადოებას, ან ცალკე საზოგადოებას შეადგენენ. გინ უნდა ჰქმნას ეკა? თვითონ სალხმა? არა. ამ ორივე შემთხვევაში განკარგულეა შეინდობაო გუბერნატორსაო, რომლის წარდგენაც ამ საგანსად დამტკიცებულ უნდა იქმნას მთავარ-მმართველის მიერ. ხოლო რაზედ უნდა დაშვარდეს გუბერნატორი, წესდება სრულიად არას ამბობს, თითქო ეს ისეთი უმნიშვნელა საკანი იუოს, რომელიც

შეიძლება თვითონ მცხოვრებთ არ ეკითხოს და უცხო კაცის ნება-
ყოფილობას უდ მიეკლას, მაშინ როდესაც ამასეა დამყარებული შინა-
განი ძალი და სიმტკიცე საზოგადოებისა. ჩვენში ხშირია წვრილ-
წვრილი სოფლები. ზოგჯერ ამ წვრილ სოფლების ისეთი მტრობა და
დავა აქვთ მამულეებსად, ან ერთმანეთშია, ან დიდ სოფლებთან,
რომ მათი შეერთება ცუცხლისა და წყალის შეერთება იქმნება ერთმა-
ნეთის დასაშრეტად. ასეც მოხდა ბეგრგან, იმიტომ-რომ მარტო საას-
ლოვის ძალით მოახდინეს სოფლების შეერთება და უფრო არ ათხო-
ვს სხვა ადგილობრივს ვითარებას, რომლის მტოდნენი—როგორც
მოგეხსენებათ,—ჩვენში ძალიან იშვიათნი არიან მთავრობის მოხელე-
თა შორის. დღესაც ბევრი ასე დარღვეული სოფლის საზოგადოებაა
ჩვენში და აქამომდე არავინ არ გამოჩენილა, რომ ამას უფრო ათხო-
ვოს და წამალი დაჭსდოს. თუნდ ესეც არ იყოს, რამდენი პატარა
სოფელია დიდ-სოფელსად მიწვრილი და მისგან ჩაგრული, რადგანაც
პატარა სოფლის ხმა სოფლობაში ხმაა მღალადებული უდასხოში და
სხვა არაფერი: რას გააწეობს ბევრთან ცოტა? ესეც ვინ წვრილ-სოფ-
ლებისათვის გასაჭირი, რომ ძალიანაც უნდოდეთ ცალკე ყოფნა, ვერ
შეკლებათ, რადგანაც წესდება ჯალად ჰსდებს იყოლიონ მოხელენი
არა ხელეობის კაცისა. ამოდენა მოხელეებს სად გაუძღვება პა-
ტარა სოფელი?

სოფლის სამმართველოს შეადგენს: სოფლობა (сходъ), მამა-
სახლისი და სასამართლო. ჩვენი წესდება ვერც თვითონ საქმის მი-
ხედვით, ვერც ჩვენი ცხოვრების შესაფერად ვერ უხაზავს თვითვე-
ულს. მაოგანს მათდა შესაბამის მოკალეობასა. სოფლობის მოკალეობა
სრულად ცადმოღებულია რუსეთიდან და რაც ჩვენში სასამართლოს
უნდა ეგუთვნოდეს, ის შურსად აჭვიდეს სოფლობასა, მაგალითებრ,
11 მუხლმა კალად დაჭსდო სოფლობას, რომ ვაჟს გლეხთა შორის
მან მოახდინოს ამას თავისი საბუთი აქვს რუსეთში, თუმცა არც
ძალიან ბევრი, — რადგანაც იქ სოფლის მმართველობის დედა-ბოძად
უკვე სხვაში მიღებულია სასამართლო მკვლამელობა მანისა და მას-

სადმე ყოველი ცვლილება მიწის-მფლობელობის შესახებ, ყოველი ცვლილება პირადი თუ ოჯახობრივი ცნობად თუ ბევრად იქ მთელს საზოგადოებას შეეხება. ჩვენში ეგ არ არის, ჩვენში კომლუელი გერმანიის მფლობელობაა. აქ გაურა გერმანიის ინტერესს შეადგენს, ამიტომაც იგი მაუწყებელი მოვალეობაა სოფლის სასამართლოსი და არა მრავალ ხმობანის სოფლობისა, რომელსაც გლეხთა გაურაში არც მწვადი ეწვის და არც შამფური, ვისაც ცნობილი აქვს ჩვენის გლეხ-გატის ოჯახობრივი ვითარება, ვინც როდესმე დასწრება სოფლობას საზოგადოდ და ჩვენსას საკუთრივ, ის ადვილად მიხვდება რომ სოფლობას არას გზით არ ძალუძს გაჭყაროს. იუნდ ერთი ოჯახი, მთელს ერთ წელიწადსაც რომ თავი იცხელოს ავი არცა გეგონია, რომ სადმე ამისი მაგალითი მომხდარიყოს. მაგვარა ცაურა ვერც კი წარმოუდგენა ჩვენს გლეხ-გატობას და თავში ვერ მოუთავსებია, რადგანაც მართლა და მოუთავსებელია. ამის გამო ერთი დიდი ინტერესი ოჯახობრივი დაუმყოფილებელი ჩნება ჩვენს გლეხ-გატობას და თუ თვითონ გასაყრელნი ერთმანეთში ნება-ყოფლობით არ მორგდნენ, განონიერი გაურის გზა სრულად მოსპობილი აქვთ, სამდენი შუღლი, შუღლი და უბედურება მოსდევს ხოლმე ამას, — ეგ ჩვენმა სისხლის სამართალმა კარგად უნდა იცოდეს, იმიტომ რომ მაგალითები თვალ-წინ ბევრი აქვს.

რაც შეეხება მამასახლისის და სოფლის სასამართლოს მოვალეობასა, აქაც ერთი რამ დიდად შესანიშნავია და საკვირველი. სოფლის სასამართლოს და მამასახლისის მიზომილი აქვთ უფლება ბრალეულ გლეხებს სასჯელი დასდონ, ხოლო წესდება დავიწყებია განესაზღვრონ რა დანაშაულობა ეხელ-ქვეითება მამასახლისის და რა სასამართლოს, ორივესათვის ერთს სიტუვას ხმარობს — წვრილმანი დანაშაულობა (маловажные проступки). 27 მუხლი ამბობს, რომ მამასახლისს ეძველება იმისთანა წვრილმანი დანაშაული, რომელსაც სასჯელად მოსდევს ორის დღით სასოფლო სამუშაოდ დანიშნაო, ანუ ერთი მანეთი ჯარიმაო, ან ორის დღით დამწყვე-

კოა, სხვა უდიდეს სასჯელთა დანიშვნა კანსოიელის სასამართლოს საქმეა. ამის მეტი სხვა არა რაიმე საზღვარი არ დაუდვია წესდების სასამართლოსა და მამასახლის შორის. არსად ჩამოთვლილი არ არის, რომელს დანაშაულობას მოსდევს ორის დღის მუშაობა, ერთი მანუთი ჯარიმა და ორის დღით დამწუვდება და რომელს ამაზედ უმძიმესი. ზსე რომ მამასახლისმა თუ მოინდოვას, არც ერთს სდანაშაულო საქმეს არ მიასწვიენებს სოფლის სასამართლომდე, უოკელს საქმეს თავის ქვემდებარედ გახდის, იტყვის, ამაზედ მეტი სასჯელი არ მკისდევსო ამ დანაშაულობასაო, რადგანაც სხვა რომა დანაშაულობისა, თვითონ დანაშაულობის თვისებაზედ დამყარებული, წესდების დავიწყების მოესსენებინა. ცხადია აქედამ რწმოდენა ბოროტ-მოქმედება შეუძლიან მკანდინოს მამასახლისის ნება-ყოფლობაში, თუ ვატარა მოსურსებულნიც არის. საჭიროა სახელდობრ ჩამოითვალოს თვითჟეული დანაშაულობა მამასახლისის საკუთნი ცალკე და სასამართლოსი ცალკე და უფრო უკეთესი იქმნება, რომ მამასახლის ჩამოაცალონ უფლება სასჯელისა, რადგანაც ეს სასამართლოს საქმეა და არა ხელთ-უფლობისა.

სამოქალაქო საქმის უარჩევანში მამასახლისის არაფერნი უფლება არა აქვს, და საბუთიანადაც ხოლო აქაც ჩვენის ფიქრით, წესდების დავიწყებული აქვს ჩვენის გლეხ-კაცის ვითარება. სოფლის სასამართლოს მინდობილი აქვს განარჩიოს უოკელივე საქმე ქვემდებარე გლეხთა შორის, როცა სდავო საგანი ათის თუმნის ღირებულებას არ აღემატება. ამ საზღვრამდე იგი უოკელს საქმეს საბოლოოდ ჰსწევს. ასე რომ უმადყოფილო გლეხს ნება არა აქვს სდამე სსნიკარი შეიტანოს სოფლის სასამართლოს გადაწყვეტილობაზედ. ეს მეტად შიში რამ არის გლეხ-კაცისათვის? ამირად გლეხ-კაცს სულ ერთიანად მოუშლის ხოლმე სინას არამც თუ ათის თუმნის ზღვევანება, არამედ ნაკლებისაც და რატომ არ უნდა ჰქონდეს ნება, რომ გადაწყვეტილება, რომელიც უმართლად მიანიხილს რომელსაც ამოღენი ვნებან შეუძლიან შეაყენოს, ხელახლად გასინჯოს უმადელის შო-სამართლის? ამას არა წოდების კაცი მჩაგლებული არ არის, გლეხის

მეტი, გლეხისა, რომელიც უკვლავად უჭირავს მეტად ჰესტორიებს გულ-
მოდგინეს, განათლებულს და კეთილ სინიდიისაანს მოსამართლეს და
უკვლავად მეტს განსაჯდეღია, რომ საქმეს რიგაინად ვერ გაუჩვენებენ,
რადგანაც ვერც თვითონ არის რიგაინად საქმის ამხსნელი და მოსა-
მართლდაც თავისებურ ბნელი და უვიცი მოხელენი ჰყავს. ჩვენ ამით
იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ სოფლის სსამართლო გაუქმდეს.
ჩვენ გვსურს მხოლოდ, რომ რომელი საქმეც ერთს თუმანსად მეტს
იძიებდეს, გლეხს ნება ჰქონდეს იმ საქმის თაობაზედ გადაწყვეტი-
ლება სოფლის სსამართლოსი უმადლესს სსამართლოს ხელმეორედ
გასინჯოს. ამ გვარ სსამართლოდ უნდა იქმნას მომჩიებელი მო-
სამართლე სოფლს სწავს უკვლავად და სხვა რიგითი შრომელი და დადგინ-
ლი და არც ისე რთულად უნდა ჩვენ შიშობდეს.

ჩვენ მარტო უმთავრესნი საკულუ-ოვანება ფრჩხვით ჩვენის ებრედ
წოდებულ თვით-მმართველობისა და სოფლის სამმართველოს წესდებისა.
ჩვენ გვინდა რაც ვსთქვით, ეგრე სამყოფი საბუთი იყოს რომ ხელ-
ახლად კადისინჯოს უოველივე კანონ-მდებლობა ამ საგანზედ, თუ სოფ-
ლის კეთილ-განწყობა ვისთვისმე სსსურველია და ვისთვის არ უნდა
იყოს სსსურველი! ეს კია რომ მარტო სოფელი, როგორც ნაბო-
ლოვანი რეალი რთულის ჯაჭვისა, ვერ ასაზრდოებს თვით-
მმართველობას თუ მარტო სოფელში დაიწყება და სოფელშივე
ჩაწყდება. სოფელს მარტო უნდა მოჰყვეს, მარტო გუბერნია, როგორც
ესლა რუსეთშია. ხოლო სხვა წესით და სხვა რთად უნდა მოწყოს
ჩვენში ეს საქმე.

ილია ჭავჭავაძე.

ტ. იუკოლის კომპოზიციონერის *).

(მოთხრობა ალფონს ლოესი.)

ეს იყო პატარა მედაფე აფრიკის ჯარისა. სახელად ერქვა კადური და იყო იმ ტიურკოსთაგანი, რომელიც ლენერალ ვინტას მხედრობას მიჰყვებოდა. მან გამოიჩინა მთელი ომიანობა ვინტას-ბურლიდამ მოყოლებული შამშინიამდე, ჩიტსაგით დაფრინავდა ერთ ბრძოლის კვლიდამ შეორქმდე, და ისეთი ცოცხალი და მარდი იყო რომ ტყვიამაც არ იცოდა საიდან მიჰკარებოდა. დადგა სამთარი, და ამ აფრიკელმა, ომის ცენტლში ნამყოფმა და გამოვლილმა ვერ აიტანა სიტუაციის უარყოფლობა, თოვლში უძრავად დგომა: ერთს დილას ანგრიისას. ჰვოკეს ბოი მარნის წყლის ნაპირას ფეხებ დამძვარი და სიტვივისაგან მოკვდინებული. დიდ ხანს მოუწინა სამკურნალოში წოდებულა ვინტასე ჰიკველად.

დაღონებული და უნიკარი, ვით სხეული ძაღვი, მტკანარის თქალით იუერებოდა გარშემო. თუ დაეღაპარებოდა ვინმე, გაიღრიკებდა და კბილებს წამოჰყრიდა, მეტი კი ვერა შეეძლო რა, რადგანაც ჩვენი ენა არ ესმოდა. გულის გასართობად ვადურს ჰქონდა მარტო დაფი. ხანდახან, როცა კადური მეტის-მეტად მოწყენილი იყო ხალხზე, მიუ-

*) კომუნელებს უწოდებენ იმ რევოლუციის მოღვაწეთ, რომელიც ასტრედა პარიჟში 18 მარტს 1871 წ. ტიურკოსებს უწოდებენ ალფონს ლოესი.

ტანდენ ქვეშაგებში დაჟს — დაუგარო; მაგრამ ძალიან მადლა დაკვრას კი უშლიდნენ — სხვა ავთმეოფნი არ შეწუხდნენო. აი მაშინ გაცოცხლებოდა ხალხი შისი ნისლიანი, დაღვრემილი ჰირის-სახე; ტანს, ხელს, ფეხს სულ აყოლებდა ხალხი დაფის წეობილ ხმაურთან. ხან დაჭკრავდა დაფს თოფის სროლისას და მაშინ ღრეჭა აღტაცებულ კასკასად გა- დაქცევოდა. ხან რომელსამე თათრულს ხმას შეუწუხებდა, მაშინ თვალ- ში ცრემლი მოერქვოდა, ნესტოები გაებერებოდა და თავში ესტე- ბოდა ბლიდაჭს ტყე თურინჯებით დატვირთული და სხვა მრავალი სურათი თავისას სემშობლასი.

ამ ყოფაში გაატარა ორა თვე. ამ ხანის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა ჰარეში, მაგრამ კადურს ამის აზრიც ვერ აეღო. ერთ- ხელ თვალი მოჭკრა, რომ ჯარმა ფანჯრებ წინ გაუარა; შერე მოესმა ზარბაზნების გრიალი ქუჩაში, ბოლოს სრო- ლის ხმაცა. ამაკებისა სულად ვერა გაიგო რა; დიჯერა კი, რომ ჯერ ომიანობა არ გათავებულაო. მაშ კიდევ ვიომეო, წავალ, მეც გავე- რევიო, ფეხები ხომ მოარჩენილი მაქვსო. აი გადიდო ზურგზედ თა- ვისი დაფი და გასწია თავის ჯარის მოსანახევად. დიდხანს არ დანჭი- რებისა ძებსა; კომუნალები დაჭხვდნენ და წაიყოლიეს მოედანზედ. დენერაღმა მისცა ათი ფრანკი, ცხენი და შერიცხა თავის შტაბში. თავის უვითლად ჩაკერ ლურჯ ტანისამოსით; თავისელ ჩაღმით და დაფით ჩენი ტიურკოსიც ჩაიკია კომუნის შტაბის კაცთა შორის და უფრო ააქრელა თავად ისეც ჭკელი და მრავალ ფეროვანი ტანისა- მოსი კომუნალებისა. მზის სხივებმა, ზარბაზნების გრიაღმა და თოფ-იარაღის მრავალ-ფერობამ სიხარულით აიტაცა და სრულად დაუბნია გონება. ჭულ-მოდგინედ ემსახურებოდა შტაბს; ხან აქეთ გააქცუნებდნენ, ხან იქით. კადური დარწმუნებული იყო, რომ ისეც პრესიილებს ებრძოდნენ. მაგრამ ერთი რამ კი აკლდა კადურს სრულ ბედნიერებას თავის შტაბში სწუერთადა; ჰსურდა აელაჰარაკებისა თოფის წამალი.

ერთს დიღას მაინისას საშინელმა თოფის სროლამ გამოაღვიძა ჩვენი ტიურკოსი. სამინისტრო დიდ ლეღვასში და თვან-თუცში იყო უველანი გარბოდნენ და გამოზოდნენ. კადურნიც სხვებს აჭედა, ცხენს მოასტა და შტაბს უკან გამოუდგა. ნახა უკნება დობნუელი მეზუკანი, აქა-იქა დაქსაქსუნა ბატალიონები... მოკირწყლულ ქუჩებს ქვეს აცლიდნენ, სანგლებს აკოთებდნენ. ცხადი იყო — რაღაცა დიდი ამბავია. რამდენად უკრო უახლოვდებოდნენ წელას ნაშირს, იმდენად აუფლბ მავალი მატულობდა და თოფის გრალიც უკრო მეტად შეისმოდა. ხიდზედ რომ მივიდა, კადურს შტაბი თვალდამ დაქანა; შუბღვკ ვიღამაც ცხენიც წაართვა (შესატყობად ქალაქის სასულში რა ამბავია.) გაზნარებული ტიურკოსი გაიქცა საადამიც სროლა მოდიოდა. მიზბოდა და თან ხელ-და-ხელ თავის თოფს ჭსტენავდა და თან ბუდღუნებდა: Macach bono, Brissien..... რადგანაც ეგონა შრუსიელები შემოცვივნილანო. ტიურკოსის ბაღში ტყვია ზუზუნებდა კადურს. რაფოდის ქუჩის სანგაღიდან დაუძახეს: „ჭვი! ტიურკოსს! ტიურკოსს!...“ იქ მარტო თორმეტნი იყვნენ. ერთი კადური მთელს მხედრობად დიდა.

კადური შედგა სანგაღზედ თავი მოშწონე და თვალ-სახინთ რომ გორც დროშა და რამოდან გიურად და გიუინით ტყვიის წვამის ქვეშ ერთს წუთს ბოლი თვალ-წინ გადაწმინდა, თვალის მიჭკრავ წითელ მდღვრისებს და იპიქრა, შრუსიელები მატუებენ და ხელახლად ტყვიასწამალი ააღზარავა. უცრად სანგაღმა ხმა გაიწვიტა უკანასკნელს კაცმა უკანასკნელი სროლა და ცადა და გაიქცა. ტიურკოსი ვი ადგილიდან არ დაიძრა. ჩასაფრებული იყდა ერთ მუხღზედ წამოხედილი მაგრამ უკრავ ხიშნში ამოღებულ თოფი და ელოდა... ქვევითი უკრო მჭადვა... აიტიტრებმა დაუძახეს რადგან ბოლო. კადური ერთ წუთს უკრავ, მერე წამოასტა, თოფი შეადამასა და დაიძახა: Bono, bono Française.

ეგონა, ეს ის მკვლედი უკრავი, რომელსაც ამოღეს ხანი ელოდნენ შარბილები. რა რიგად შეჭხაროდა, რა რიგად შეჭსტო

ნადა მათ მთელის თავის თეორიის კბილებითა!... თვალის დახამხამების უმაღლესი სანგალი აიღეს. უკან მოეხვივნენ კადურს და ბუფლოვებზე დაუშახეს: „გაკვასინვე შენი თოფიო“. თოფი ვერ ისევე ცხელი იყო. „გვივინე ხელებიო“. ხელები გამურული ჰქონდა თოფის-წამლისაგან. ტიურკოსი თავ-მოწონებით უჩვენებდა თოფს და ხელს და დამილებდა თავის კეთილის დომილითა

კედელზედ მიაგრდანეს და დეხვრიტეს...

ისე მოგვდა — ვერ გაიგო რა ამბავი იყო.

ს ი ზ მ ა რ ი .

ვნახე სიზმარი, ჩემო ღმერთო, ტუბილი სიზმარი:
ვითომ ჩემს გულში იდგა ტურფა, წმიდა ტაძარი.
იყო ნაშენი, ალგებული უცხო მასხლით:
შენდამი ლტოლვით, ჰატივ-ტემით და სიყვარულით.
მუნ მადლად, სპეტაკ ტრახეზზედა სუფივედი შენა
და გარს გეხვია ელვარება, ნათელი-ყენა.

ჩემი გონება, შემოსილი ქურუმთ საცმელით,
იდგა შესწინა განგრძალული მხურვალეს ლოცვით.
მას ხელთ ეჭირა დამსხვრეული იტყნეულია,
უარის-ყოფა, სიმღელილი, ამჟამტანება.
მაჰსთქვამდა იგი შესწინაშე თვის შეტოდებას
და შემოგონებდა, გეგდრიდა მის ჰატივებსა.

გონების უკან, ვით მხურვალე-მტკიცე მლოცავნი,
იდგენ რიგზედა მუხლ-მოდრეკით ჩემი გრძნობანი.
შენსკენ მოქცეულ მათი თვალები, მათი ხელები
ცხადად ამობდნენ: რათ გვინდაო ჩვენ სხვა ღმერთები...
გიგალობდნენ, შენ გაქებდნენ, ვით დვთაებასა,
და იბრკელივ ჰყენდნენ ყოველ საგანს ციურ შეებასა.

შე ვიყავი ვითომ, გარდაქცეულ სუბუქ ჰაერად,
წმიდა ტაძარში მოფენილი შესწინაშე სხსუნთქებლად.

შენის სუნთქვითა, ჩემო ღმერთო, მე ვიზნეოდი,
 გაძს გეხვეოდი, შემოგტრფოდი, თავს გველებოდი...
 მაგრამ ვფიქრობდი: ვაი თუ ეს არს მხოლოდ სიზმარი
 და ამ უსამზღვრო ნეტარებას აქვს სამზღვარი!

1879 წ.

ლევ. ცაველი.

* * *

გასწით, გაფრინდით ჩემო ფიქრებო,
 გადაიარეთ მთანი და ღრენი;
 მიდით და ნახეთ ჩემი სამშობლო
 და მას, ვით ღმერთსა, ევით თაყვანი.
 არ შეუშინდეთ არც გზას, არც ღროსა:
 უკვლავ იფრინეთ, უკვლავ ნახეთ.
 შემდეგ დაბრუნდით კვლავ ჩემთანა—
 ტბილი ამბები მომიტანეთ.

ქალაქ-ალაგებს გზა აუქციეთ!
 იქ თქვენი თვალნი ბევრ კარგს ვერ ნახვენ...
 მუნ შეგრძობილნი სისაძაგლენი
 უსიამოვნოდ აგაღელვებენ!
 ზედ ნუ შეხედავ კერცხლით მკუფს გულებს,
 თუნდაც ასჯერა წინ შეგეჯუთნონ;
 წარბს ნუ გაანძრევთ მდიდრების წინა:
 ეს ღრო მათია, და იქეიფონ!...

უურს ნუ მიუგდებ იმ ბატონებსაც,
 ვინც წაღმა ხნავენ, უკუღმა სთესვენ:
 ივინი თავის სიტყვას და სწავლას
 თვისის ცხოვრებით თვითვე აქცევენ.

თქვენ გაუდექით პირდაპირ სიბუჯებს:

გლეხ-კაცის ბედი მუნ გაიფანით;

მისი ცხოვრება, მისი ამბავი.

წამდგვილად, კარგად დაიხსომეკით.

ვინც აქ შრომობდეს, გლეხ-კაცს შეულოდეს.

ის უსათუოდ თქვენ იპოვნეკით...

მიდით, მიეცით მას ქმურად ხელი

და სიუვარულით გადაჭკონეკით.

ვინც ჩვენში მხოლოდ ბრძნულად ბაასობს,

იგი ვერ კიდევ არ არის კაცი;

რომელიც სიტყვას საქმეთ გარდაქცევს

აი ეს არის ჩვენა გაუ-კაცი.

1879 წ.

ლევ. ტაველია

ფიქრი და ფაქიზება

კიდე ჩვენის მიწერლობის თაობაზედ.— უფ: თუმანიშვილი და მისი „ალ-მანანი.“

რომ ჩვენს მიწერლობაში აწესებს უგონო-უგვლანა და უშველ-
ლობელი არაუფლ-დაჩუფლობა— ეს ცხადი და უუჭველი კუშმანიტობა
უგვლასთვის, ვინც კი ცოტადენად დაფიქრებულა ქართულს ლიტე-
რატურაზედ. რა მიუძღვის წინ ამა და ამ მოღვაწეს ჩვენის მიწერლ-
ობისას? რისთვის ვამოდარ იგი სალიტერატურო მოედანზედ? რა სხვი
უნდა დასცეს მან თვალ-გაუწვდენელ სიბნელეს? უგულა ამისას ნუწას უგაც-
რავად, ტუუილად ვიფიქროვთ. დმკრთს ენა მიუნიტებიან ადამიანისთვის—
ილანანაკელო ისიც მოჭყოლია და ლანანაკობს, — შეტო რა უნდა? რას
მიქვიან ჩვენში მიწერლის მოკალოება: ხასოგადოების წინაშე? დღეს ვაუბ-
ტონს რაღამაც გაუჩინა გუნებაში— აილო და მიაწოდა მკეთხველს; ხვალ
კიდევ სსვა და სრულიად წინააღმდეგი რამ გადურბენს გულზე და კიდევ
აილო და მიაწოდან იმავე მკითხველს— ესეც შენთვის მოძიროთშევიან. ამ გვა-
რად სალიტერატურო ასპარეზი შეიქნა თვითონ მოღვაწეთა გულის
გასწართობ სალანსოთ, და მკითხველისა კი ვის რა ენადვლებ? კაცი
არ დაფიქრებულა თუ რა არის სალიტერატურო და რა არა;
რას მოითხოვს და რას არა დროთა ვითარება და ადგილი.
ჩვენს სალიტერატურო მოედანს მთლად მოჭოქენია სიბნელე; თვითონ
მოძქმედიც ბნელია ვით ღამე. შეტუვით— უგულა ამას აქვსო მრავალი
შესაწყენარებელი მიზეზიო: ჩვენი მიწერლობა ვერ ხანში არ არის შე-
სრულიო და ახლად იუკ-ადგმულს ბევრი არა მოეხსოვება რაო; ვერ
მოკითხვებაო აგრეთვე ვერც გარკვეული ვზა და კვალი... მარტალო

ბძანებას, და კიდევ იმიტომ ვამბობ, რომ ყოველს მოღვაწეს ჩვენის მწერლობისას უნდა დადი სიფთხილე და წინ დახედვა. რამდენად უფრო გზა-დაბნეულია მისი გარეშეულობა, იმდენად უფრო მომეტებული სიწმინდე და სიფაქიზე უნდა ყოველს მის ნაწარმოებს. თუ საზოგადოებას ეხლა-ხან გაჭვდილება კითხვის სურვილი; თუ თვითონ საზოგადოებაში ამის შესახებ არავითარი გარკვეული მიმართულება და მტკიცე მსვლელობა არ არსებობს; თუ „რასაც დასთეს იმასვე მოჰკი“ — ამ შემთხვევაში თვითოეულს მთესველს უფრო მეტი უნდა მოეკითხათ, უფრო სასტიკად უნდა მოეკვიდრათ, ვიდრე სხვა დროს და სხვა ადგილას. აქ უნებურად მაგონდება აზრი, რომელიც არა ერთხელ მსმენია: ჩვენი მწერლობა იმდენად საცლადვი და ღარიბია, რომ ყოველი კაცი, რომელსაც ცოტად თუ ბევრად შემოუღდავსა იყენი მწერლობაში და ავად თუ კარკად ემსახურებაო მას, ყოველად ჰატივსაცემი და ყურადღების ღირსიაო; თუ კი სწერს და აბეჭდინებსო „ბარაქალა“ ერგებაო; ერთის სიტყვით, ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო. რომელი ერთი სჯობია — ეს ამ აზრის მიმყოფელთა გემოვნებაზედ მიმინდვია; მე რომ ვკითხვით კი — ორივე მათთვის მიმართმევია. ჩემის აზრით, ზემოხსენებულს მსჯელობას დაერთვის ცრუ-მორწმუნება, რომელიც ვნებას თუ მოუტანს ჩვენს მწერლობას, თორემ ხეივს კი ვერ დააყრის ვერაზით. იმათდა სამწუხარად, ლიტერატურის სიმდიდრე თუ სიღარიბე დამოკიდებულია არა დაბეჭდილ ფურცლების მეტ-ნაკლებობაზედ... უნა ჩვენის ლიტერატურისათვის მთლად მოქსახსული და შამბ-მორეულია შეთქა. ეგელაზედ უწინარესი და უსაჭიროესი საქმე არის გამარგვლა, ამოგლეჯა ამ შამბისა, გამოგვა და გამოწმენდა რაც მოქსახსულია. ეს საქმე უზირველეს კალად უნდა ჰქონდეს სალიტერატურო კრიტიკას; მან უნდა დაანახოს მკითხველს თუ რა ეკუთვნის ლიტერატურას და რა არა; რას უნდა ეპყრას კანონიერი ადგილი მწერლობის ასპარეზზედ და, პირიქით, რას არა აქვს არავითარი კავშირი ლიტერატურასთან. ერთის სიტყვით სალიტერატურო კრიტიკა მოგაღვათაკი გაატანინოს მკითხველს

ზემოხსენებულ უცხო-უგვლობაში და არეულ-დაჩეულობაში. რამდენადაც გვექმნება ძალა და შეძლება, რამდენადაც ჭკუა გაგვიჭრის, ვეცდებით მტერი დავწლი მანც დავდვით ამ ფრიად მძიმე და საჭირო საქმეში. მაშ ნუ დაიზარებ, ჩემო შვითხველო, და გამომეუგ ჩვენის ლიტერატურის წაღ-გოტისაკენ.

საიღამ დავიწყოთ? სულ ერთი ვიას, სწორედ მოგახსენოთ. ნათქვამია — ყოველი გზა რომისი მიგიყვანსო. ისე ჩვენც: რა გზასაც უნდა დავადგეთ მანც ერთსა და იმავე ადგილს მივალთ, და სახელ-დობრ რა ადგილს — ამას შეძლეში ვნახავთ. დავიწყოთ უფ. თუმანი-შვილის „აღმანახიდაშ“. მიზეხიცა მაქვს ამ გვარ დაწეუბისათვის. ეს სხვა და სხვა წერილთა გრძობა, რომლისათვის უფ. თუმანიშვილს დაუტყვევია „აღმანახი“, არის ახლად მოსული, თითქმის დღევანდელი ვგავილი ჩვენის ლიტერატურისა, და დღევანდელს ხომ უფრო ეტანება კაცი, ვიდრე გუშინდელს. ცაღდა ამისა ამ ვგავილზედ მსმენია იმის-თანა ქება-შესხმა, რომელიც ქვასაც კი გახეთქს, არამც თუ ადამიანის გულს. აი, მაგალითობრ რა სიტყვით მიეგება „აღმანახს“ „დროების“ კრიტიკოსი:

დიდის მოუთმენლობით მოველოდით თავ. გ. თუმანიშვილის „აღმანახს“ და უაღრესის სიამოვნებით წავიკითხე ეს პატარა წიგნი ჩვენს ქვეით ღარბს მწიგ-ნობრობაში რიგიანის წიგნის გამოხვლა ისეთ იშვიათ შემთხვევათ შეიქმნა, რომ რეცენზენტს ამისთანა მოვლინება ერთ რამ დღესასწაულად მიაჩნია... ამ პატარა წიგნს ეტყობა, რომ ქვეიანი კაცის ნაწარმოებია, რომელიც არც ერთს პარტიას არ ეაუთვნის, და პირუთვნელათ ეძიებს. ქვეშარიტებას და მამასაღამე პოეზიასაც.

გლიდიყო. რას ნიშნავს «საზოგადოების აზრობა დენის» ზედ-მოქმედება დიპლომატიასზედ თუ მხედრობასზედ? ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი ელჩი, წარმომადგენელი მთავრობისა, უნდა იყოს იმავე დროს წარმომადგენელი იმ აზრისა და მიდრეკილებისა, რომელიც მიუძღვის წინ თვით მთავრობას; თუ მთავრობა მტკიცედ ადგა რესპუბლიკულ რწმენას და მიდრეკილებას, ელჩიც უნდა იყოს რესპუბლიკელი და ნამდვილი გამომხატველი თვისის ქვეყნის ნება-ყოფლობისა. იყოს კაცი მონაწილე და იმავე დროს რესპუბლიკის წარმომადგენელი — შეუძლებელია. ამ შეუძლებლობას ნახობენ ლუდლო და ლუდლოსთან მსახურნი სამშობლოსა.

მთავრობა და პალატინი მტკიცედ დასდგომიან მეოქვი თავის შინაგან წარმატებას. მრავალი საცმეც და ემეკიდრა წაჩხულმა დრომ აწინდელს; მრავალი სიბიფწე, მრავალი უჩსგავსობა საზოგადოებრივ ცხოვრების თითქმის ყოველ კუთხეში, ყოველის მხრივ. მარტო და პოლკონ მესამეს იმპერიამ იმოღვანა მეშვედროება დაუდო რესპუბლიკას, რომ მის ძირიანად აღმოფხვრას მოუხდება არა ერთი და არც შთამომავლობა. როგორც ზემოდ მოგახსენეთ, ჩვენი უმთავრესი უურჯდება მიქცეული იქმნება მეოქვი იმ შინაგან ცვლილებასზედ, რომლისათვის მოუგადნია ხელი ამ უმად რესპუბლიკას. ამ მხრით უპირველესთაგანი ღვაწლი, რომელსაც მოკლის საფრანგეთი რესპუბლიკისაგან, შეეხება ხალხს განათლებას და სწავლას. საფრანგეთი ამჟამად, როგორც მოგახსენებთ, ბევრად დაუკარდება ზოგს ევროპიულ სჯულმწიფოს სწავლა-განათლება ისე არ არის გაკრცელებული და ისე არ არის მომართული როგორც შეეფერება დიდებულს ხალხს, — ხალხს; რომელსაც არა ერთი ღვაწლი დაუდვია კანობრიობის ისტორიისა. საფრანგეთის გლეხობას აქვს დავარდნილი ხმა უმეცრობისა; უმეცრობისა გამო მრავალი უბედურებაც გადახდომილ თავს საფრანგეთს. გაჩნდა ამისა საშუალო სწავლაც არ არის მომართული ხეივანიად, და რაც არის ისიც მომეტებულად კლერკალების ხელშია ჩაკარდნილი, რომელსაც წასაკვირველია თავის საკუთარს სულსა და გრძნობას უნერგვენ

მოზარდ უმაწვილებს. ამ უმაღლეს რესპუბლიკა ცდილობს გამოავლინოს ხალხის სწავლა-განათლების საქმე გლეხიკალებს და დაადგინოს ვალდებული და მუქთა სწავლა სოფლის ხალხისათვის. ამასედაც დაწერილებით შემდეგში მოგახსენებთ: აქ კი, რა კი მოგვარებით თვალი განათლების საქმეს, ერთი გაკრძობება უნდა მოვიხსენიოთ რომელიც ცხადად გვიჩვენებს თუ რა შიშისა სწავლება რესპუბლიკა თვის შინაგან საქმეთა განხილვებში და წინ წაუჩიებაში; გვიჩვენებს აგრეთვე თუ რომელი — ერთი კუთხე არ არის წამხდარი წარსულის დროით და რომელი — ერთი არ მოითხოვს გამოწმენდას და განახლებას; სახალხო განათლების საშინისტროში არის ვრცელი განყოფილება (თითქმის ცალკე სამინისტრო), რომელიც განაგებს საქმეს შესახებ სხვა-და-სხვა ხელფანებისა და სხვათა შორის, თეატრისადაც. ამ განყოფილების გამგემ, მინისტრის თანაშემწემ, ესლან-ხან მიჭმართა თეატრების ინსპექტორებს შემდეგი წერილი:

„ბატონებო,

„რესპუბლიკას ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი თეატრისათვის, და რა მომზადებით ინსპექტორების თანამდებობა ვალად ვრაცხ ჩემს. რათავს შეგატყობინოთ თუ რა გვარ დახმარებას ვითხოვ თქვენგან იმ განხილვებისა და აღმაშენებლობის საქმეში, რომელსაც ჩვენ დაგდგომით ვგაერთ. თუ დამატებითი ხელფანება დაცემულია და დაკარგნილია ექვმისაგან მოხდა რომ საფრანგეთი დიდი ხანია მოკლებული იყო უფლებ-გვარ სპირალიტიკო თავისუფლებას. პატრიარხის თხოვნებს ადგილი არ ჰქონდა თეატრში, საიდანაც განდევნილი იყო ექვლათერი რატი კი რამ აგონებდა კაცს მის ღირსებას, მის თავისუფლებას; მის უმადლეს მოვალეობას. სტენა დანიშურა გამრეყნელმა ხელფანებამ, რომელმაც თითქმის მარტო ერთი მიზანი დაიდგა წინ: გართობა, და გასართობად იგი წასწავდა უწმაწურობას, თვით გარეკნილობასაც. ჩვენ გვინდა, რომ დამატებითი ხელფანებამ დანიშურვს ადგილი უფრო მაღალი, უფრო თავმოხაწონი; ჩვენ გვინდა, რომ თეატრი იყოს შკოლათ. ჩვენ გვინდა ხელფანება, რომელიც ამაღლებს

„დაძინანის სულს და არა ჯმ დაბლებს; ჩვენ მოგვწონს თხზულება,
 „რომელიც სულს ძალას აძლევს და არა რყენის; საჭიროა რომ ძლიერი
 „გავაქუნა თეატრისა და გვეხმაროს ჩვენს საერთო საქმეში, რომელიც მი-
 „მართულია ხალხის განათლებისადმი და რომელსაც აქვს — აზრათ
 „განადორს ხალხი დიწხი იმ უფულებისა, რომელიც აძლევს მას რეს-
 „პუბლიკა, და მიანიჭოს საფრანგეთს ჩნეობითი დიდება დემოკრატიის
 „დიწხი. ამიტომ შესახებ პოლიტიკისა ავლაროთ სრული თავის-
 „რუფლება თანხმად საზოგადოებრივის მშვიდობიანობისა და სასტიკად
 „მოკვიდროთ უწმინწურ შაირებს და ჩნეობის დამხმობ თხზულებას,
 „და ნუ დავივიწყებთ, რომ ორა დედა-ბოძი რესპუბლიკისა არის დირ-
 „ჩესება და თავისუფლება“.*)

იმ საგანთა შორის, რომელნიც წამოყენებულნი იყვნენ ჰარლან-
 მენტის წინაშე მას აქეთ რაც უიულ-გრევი იქმნა ამოჩნეულ რესპუბ-
 ლიკის პრეზიდენტათ და პალატს მიეცა სასურველი სამინისტრო, ამ
 საგანთა შორის, მეთვი, ფრიად დიწხი-საცნობია კომმუნელების
 საქმე. გეხსამებათ თუ რა სასტიკად და თითქმის უდიერად მოკვიდა
 საფრანგეთის მთავრობა 1871 წ. აჯანყების მოღუგწეთ (კომმუნა-
 ლისტებს); მრავალი დანკრიტეს, მრავალი გავზანეს კატორღაში,
 მრავალი განდევნეს სამშობლოიდან. რამდენიმე წელიწადი საფრანგე-
 თის სასამართლოებს ჯრ მოკვლებიან კომმუნელების საქმენი. დას-
 კვილ იქმენ ისინიც, ვინც ჭელში ჩაუვარდნენ სასამართლოს და ისი-
 ნიც, ვინც თვალთაც არ უნახავო მსაჯულებს და რომელთა სახელები
 ჩარიცხულნი იყვნენ აჯანყებულთა სიაში. უკეთესნი მოღვაწენი რეს-
 პუბლიკისა კარგა ხანია ქადაგებენ, რომ კომმუნალისტებს მათი და-
 ნაშაულობა არამც თუ უნდა ეპატიოთო, არამედ სრულიად დავიწყებან უნდა
 შეიქცესო. ვინც სასჯელს არიან მიცემულნიო და განდევნილნიო დაბრუ-
 ნებულ უნდა იქმენო სამშობლოში; რესპუბლიკა მოვალეაო დაუბრუ-

*) ჩვენს გინმანათლებლოთ კიდევ იმიტომ მიუყვით ხელი ოფენბახებისა-
 თვის, რომ რესპუბლიკა გამოგდებს უპირობს ოფენბახებსა და მშენიერ ელენებსა.
 სიბრალული ყოვლად საქები გრძნობა.

ნახსოვანგეთს მისი ამდენს ხანს მოშორებული მამულის შეიღებინა. რესპუბლიკა უნდა ეკადროს, რომ აღარაფერმა არ მოაგონოს. საფრანგეთს მისი უბედური დღენი; უკვე გვარი მიხედა უკმაყოფილების გაქარწყლებულ უნდა იქმნეს. ამას მოითხოვს სამართალი, კაცთ-მოყვარეობა, რესპუბლიკის დედება და ძალა. ამ გვარი ქადაგობს და მოთხოვნილებს იმდენად გავრცელდა, რომ მთავრობა იმულებულ შექმნა უური ეთხოვეს და რამე განკარგულება მოეხდინა. მოახდინა კიდევ და შესაფერი წინადადება შეიტანა ჰარლამენტში კანონად მისაღებად; მაგრამ ეს წინადადება მხოლოდ ნახევრად აკმაყოფილებს რესპუბლიკის ზემოხსენებულ უკეთესთა მოღვაწეთა სურვილს. რაში არსებობს ეს წინადადება — ესტავო მოგახსენებთ. ვერკი ორიოდ სიტყვით უნდა აღვიხატო წარმოყენებულის სავსის არსებითი ვითარება. დანაშაულობის შიტოვება ორგვარია პატიობა და ამნისტია (მიტევა დაფიქვებასა). პატიობულს აქვს აყრილი მხოლოდ სასჯელი და არა თავი დანაშაულიც; ის დამნაშავე კი, რომელსაც ამნისტია აქვს მინიჭებულს, ისე იტულისხმება ვითომ და არავითარი დანაშაულობა არც მოუხდენია (დანაშაულობის აყრაც ამას ნიშნავს). ამის გამო თავით დამნაშავისათვის ორგვარია შედეგი მოსდეს ცალკე პატიობას და ცალკე ამნისტიას: პირველ შემთხვევაში დამნაშავეს არ უბრუნდება ყველა სამოლიტივო უფლებანი, მეორეში კი — ხელახლად ეძლევა ყველა ის უფლებანი, რაც უწინა ჰქონდა. საფრანგეთში პატიობის უფლება აქვს მინიჭებული რესპუბლიკის პრეზიდენტს, ამნისტია კი დადგენილ უნდა იქმნეს კანონით, ესე იგი, თავთ პარლამენტის მიერ. კომმუნისტების შესახებ მთავრობამ შეიტანა პარლამენტში კანონად მისაღები წინადადება, რომლის ძალით ამნისტიაც უნდა მიეცეთ მხოლოდ მათ, ვინც ყოფილან და იქმნებიან პატიებულნი რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ. რესპუბლიკის უკეთესნი მოღვაწენი კი თხოვლობენ პირ-დაპირ ამნისტიას ყველა კომმუნისტათვის წარმოსთქვეს დემოკრატთა პალატიში ცხარი და მშვენიერი სიტყვა (მეტადრე ლუი-ბლანმა), მაგრამ ვერ გაიყვანეს თავისი სურვილი: პალატი მიუღვა მთავრობის წინადადებას. რატომ? იფიქრებს შეი-

თხველი. სურვილი ამნისტიის რესპუბლიკელთ შერეულობისა, აგრეთვე უპიკალო სურვილი მთავრობის დაკმაყოფილად რესპუბლიკელთა მოთხოვნისა. მაშ როგორ მოხდა რომ ერთის მხრით მთავრობა მთლად არ აჭყა ამ მოთხოვნისა და, მეორე მხრით, პალატი მთლად მიუღია მთავრობას? ამის გაკვირვებისათვის ორი გასაგებება უნდა ვიქონიოთ მსჯელობისში: ერთი შიში ვაი თუ — დაბრუნებულმა კომუნისტებმა ასტეონ რამეა; მეორე სრულიად ნდობა პალატისა მთავრობისადმი. პალატი ბოლოჯერ ეუბნებოდა მთავრობას — აჭა, შენი ვარ, საცა გინდა წამიყვანო. მთავრობას იმოდენა გამბედაობა არა ჰქონდა, რომ თამამად დიდ მანძილზე დატანებოდა წინ თუნი და თან პალატის აყვობა, და შეერთა სრულის ამნისტიის წინაშე. პალატამაც იფიქრა — თუ მთავრობა ერთება, ჰგავს თავად ვერ დადგება, რომ სრული ამნისტია არავითარ შიშს არ მოასწავებს საფრანგეთისათვისა, — იფიქრა და მიუღია მთავრობის წინადადებას. ცხადია, რომ რესპუბლიკის უჭირს უფრო გამბედავი და უფრო მტკიცე მთავრობის კაცნი. თუ რამე სენი ჩაჭყვება რესპუბლიკის საქმეს — ჩაჭყვება ამ მხრით.

მოგვეყვას ამნისტიის თაობაზედ, რამდენიმე ნაწიკეტი ლუი-ბლანის სიტყვისა, რომლის მთლად ცადმოღება, ადგილის უჭონლობის გამო, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერ შევიძლებით.

„პალატის უფლებად, ამოხსნა ლუი-ბლანი, გამონდელი აქვს უკრს ხელიდან — ამის შესახებ ხალხის უფლებების მაგივრად დგას უპიკატელობა ერთის კაცისა. აქ, საცა არის მეფე, პალატის უფლებად აკეთებდა კვირგებისაანისა რისთვის? მისთვის რომ მეტი ძალა შეეცეს მეფეს. პალატა არის მოწყალე მეფეთა. მოწყალეობა რესპუბლიკისა არის ამნისტია. (ტაშის კვრა) ამნისტია თუ იყო — უნდა იყო სრული. რისთვის? მშვიდობისაობა ერთმანეთ შორის შობით — ხალხს, რომ რაც ეძლევა ერთს, მიეცეს მეორესაც თუ არ გვინდა, სამხრადისად ჩამოკავდეთ მტრობა და ლაღვა... კარგად ვინცი, რომ ბევრს ეშინიან ზოგიერთ კომუნისტების დაბრუნებისა... რასა ეშინიანთ? ნუ თუ მონახნია ისე უფლები მოკვდომია, რომ მის ში-

„შის გამო დაბრუნებულან კომუნალები აფრთხილებათ გადაიქცე-
 უიან? დაბრუნებულთ დაუხვდებათ სამშობლოში მკვიდრად მდგარი
 რესპუბლიკა, ერი მტკიცედ შემოკები ივის სურვილისა აღსრულებისა.
 (ტაშის კვრა) მშვიდობიანობის თავდებად ეს გვიდგა, წერა რომ
 დაიწყო? შერე? დიას, ისინი იქმონენ იმავეს, წასაც შერევიან ეს-
 ლაც ინგლისში, გერმანიაში, შვეიცარიაში. ნუ თუ მათთა აზრსაც
 ისე განდევნით, როგორც თვითონ მათ? ამაო ცდა იქმნება. ვიშრო-
 მით ხალხის ბედნიერებისათვის, და ხალხს მივეუბრუნეთ და კვლავ
 გვაკენებს რა. საბრალე უნდა იყოს რესპუბლიკა, რომელიც იტყო-
 დეს: თავისუფლებისა შეშინანო! (ტაშის კვრა)...

ადგილის უქონლობისგან კერა ვთქვით რა ბოლშევიკისად,
 რომელიც ამ წერილის სათაურშია მოხსენებული. ამ დანაკლისს შემ-
 დებ ნომერში შევასრულებთ

რედაქციისაგან.

„ივერიის“ რედაქციაში შემორიტანეს 103 მან: ფული
 დამშეულ ქობულეთელთათვის.

- თ. ილია ჭავჭავაძისაგან ————— 20 მან.
- ლუარსაბ მალალოვისაგან ————— 20 —
- თ. დავით ავალოვისაგან ————— 10 —
- თ. დავით სუმბათოვისაგან ————— 25 —
- №-გან ————— 10 —
- შიო შიუკოვისაგან ————— 5 —
- ნ. ცხვედაძისაგან ————— 3 —
- ი. გოგებაშვილისაგან ————— 5 —
- ნ. ქანანოვისაგან ————— 5 —

სხარტულა

(„ივერიის“ რედაქციას.)

ბატონებო! როცა ამ ნომერში დაბეჭდილს წერილს „იფიქრი და შენიშვნა“ სინჯავდით მთელის რედაქციის კრებით დავბეჭდოთ თუ არაო, მეც ვიყავ მსინჯველთა შორის, როგორც ერთი მუდამი თანამშრომელი „ივერიისა.“ დიდი ბასი ატყდა ჩვენს შორის მაგ წერილის თაობაზედ. ზოგი ამბობდა, რომ გ. თუმანიშვილი არა ღირს იმათაო, რომ მასზედ წერილი დაიბეჭდოსო და მეც ისეთის პატივისცემით დაწერილიო, როგორც დამწერს დაუწერიან; გ. თუმანიშვილი ბავშვსა ჭკავს, რომელსაც ენა ეხლას ამოუღვამსო და რაც ენაზედ მოჭსდგომია, არახუნებსო. ამიტომაც მასზედ დაბნისლურად ღაპანაკი არა პატივ-საცემს ვაძს არ შეშვენისო. მე ძალბან გამაჟიფხს ამისთანა საუბარმა. მეც თვითონ, როგორც შოგესხეებათ, წინაღმდეგი ვიყავ მაგ „იფიქრის და შენიშვნის“ დაბეჭდვისა, მაგრამ იმ მიზეზით ვი ჯდა, რა მიზეზითაც შემოხსენებულნი „ზოგნი“ იყვნენ. როგორ ღირსი არ იყო — დახედეთ იმ „ზოგთა“ სიბრევეს — როგორ ღირსი არ იყო გ. თუმანიშვილი, რომ იმისთანა სახელგანთმ მწერალმა, როგორც ბატონი ნიკოლაძეა, რომელიც დაბადების ჯდიდგანვე ქვეყანას გაჭკვივის „მე დიდი ხნისა საქვეყნო სახელი მწეჭლობის ვიშოგეო,“ ამისთანა სახელგანთმ მწერალმა მეთქი თავისი ძვირფასი ყურადღება მიატყია გ. თუმანიშვილის „აღმანახსა.“ ეგ კიდევ არაფერი: „ღრთების“ კრიტიკისმა სამი წერილი უძღვნა ამავე „აღმანახს.“ არც ეგ არის არაფერი: გაზეთმა „Кавказ“ — მა ქებით შეამგო იგივე „აღმანახი.“ ბრმანი იყავით, თუ რა ეძმაგია, რომ ამის შემდეგ მიანც ღაპანაკობდით ღი რსიან, თუ არაო.

მე ვამტკიცებდი გაცხარებით ღირსია მეთქი, მაგრამ ძაგ კარნი წერილი იმისათანა ღირსიუელ კაცზედ არ უხდა დაიბეჭდოს მეთქი. თქვენ გი გადაჭარწვეტიეთ, ღირსი არ არისო, მაგრამ თუ დაიბეჭდება, სწორედ ამისთანა წერილი უნდა დაიბეჭდოსო, და დაბეჭდეთ კიდევ ჩემდა სამწუხაროდ და „ივერიის“ სახელის გასატყვად. მე მამანვე გთხოვეთ, ნება მომეცით მეთქი თქვენს გადაწყვეტილობაზედ ჩვენს საზოგადოებას შევიფიქრო და ჩემი საბუთები წარვედგინო მეთქი. თქვენ ნება დამრთვეით და აი მოგახსენებთ კიდევ ჩემს საჩივარს.

გ. თუმანიშვილი!... იცით, გესმით რა დიდი ღვათის წყალობა მოგვევლინა, რომ თქვენგან დაწუნესუღმა გ. თუმანიშვილმა ჩვენი ღირსი ღირსიუელ იკადრა და მის მოღვაწეთ გაშოვიდა... მაგისტრანა მწერალი ჯერ არ უნახავს ქართველობას, ქართველობას მეთქი?!... ქართველობას გი არა მთელს ევროპას. აბა, რა მხრით გინდათ გასინჯეთ: აბა ქართული ენა გაუსინჯეთ, აი წერა, ნამდვილი ქართული თუ გინდათ ეგ არის აი! აბა აზრები და მსჯელობა გაუსინჯეთ, აბა „ახალი“ დამტკნარი აზრები იმის აზრებია აი! განა „ღირსების“ კრიტიკოსმა მიდგომით და უარისუკლებით ჭსთქვა, რომ გ. თუმანიშვილი „ჭკვიანი კაცი“? განა რუ'უღმა გასეთმა „ჭკვიანმა“ ტყუილად შეუთვალა გ. თუმანიშვილს მთელის ქართველობის მხრით მადლობა, რომ ამისთანა ჭკვიანურ წიგნებსა ჭსწერო ქართველებისათვის? განა იმისთანა პირუთენელი, მიუდგომელი, სახელ-განთქმული „წერალი“ ბატონი ნიკოლაძე თავის ძვირფასს კალამს ხელში აიკებდა, რომ გ. თუმანიშვილი ცოტათი მაინც არა ჭკვიანობდა ბატონს ნიკოლაძეს ჭკვითა და სიღრმითა? თქვენ ხუ გგონიათ, მე წარვიღის სიტყვების ძალით ვამოვიდე „ივერიის“ რუდაქციასთან საბრძოლველად. სხვა ქვეყანაში რომ ვიყოთ, ეს სამ-გზით ჭკვიან გ. თუმანიშვილისა სამეოფი იქმნებოდა, რომ მე ჩემი თავი გამეძარცვებინა და გ. თუმანიშვილი დამეუქებინა თქვენს თავში იმ სიმაღლეზედ, რომელიც სიძარცვით ეგუთვნის. მაგრამ თქვენთან კაცი რას გააწეობს? „ღირსების“ კრიტიკოსის სიტყვას არ იწუნებოთ,

„გაკვასს“ უურს არ ათხოვებთ და თქვენა გამბედაობა იქამდის მიდის, რომ ჩვენს ბატონს ნიკოლაქსაც კი არ უფერკით ფიცს, რომ დიდი მწერალი ვარო. არა, მე სხვა საბუთებსაც წაშლიყენებთ, რომ თავი მოგაქეპინოთ და ჭსთქვათ: „ეს რა ღმერთი უაგვიწერა, გ თუმანიშვილი რატომ გერ ვიყანითო.“

გერ დავიწყოთ რამდენად გამშვენებურა გ თუმანიშვილმა ჩვენი ქართული სიტყვიერება. რომ ეს მისი დაწვრილ უფრო ნათლად დანახათ — მისს ახლს ქართულს დგანახებთ. აი ნიმუშები გ თუმანიშვილის ნათარგმნიდამ „უარყდანდენო“ რომ ჭქვიან.

ერთი მომქმედი ზირი ამბობს, იმან ფული მახუქაო:

„რომ შეთქვა იმის სიუვარულზედ აქაურ ქალ-ბატონის-თვისაო.“ (გვერდი 13) ო

ახლა თქვენ ახირდებით და იტყვიოთ: ეს გ თუმანიშვილის ნათქვამი ქართული არ არისო. ვაი უმეტრებავ! ქართულია, მაგრამ ახალია ქართულია, ბატონებო, ახალია. აბა რუსულად გადათარგმნეთ თუ სიტყვა-სიტყვიოთ არ გადითარგმნოს

გ თუმანიშვილი 15 გვერდზედ აღაპარაკებს უარყდანდენს თავის-თავზედ და ჭსურს ათქმევიანოს, შეს ახნაურობამ ხელ-ფეხი შეგიკრაო და ამის მაგიერ აი რა ღამასად ღაპარაკობს:

„ახნაურობა შენ გინახავს ხელ-ფეხ-შეკრული!“

ახლა კიდევ ახირდებით და იტყვიოთ, გ თუმანიშვილს ერთის თქმა უნდოდაო და სულ სხვას ამბობსო. ჭსტყვიოთ! თქვენ რომ ახალი არ გესმოდეთ, გ თუმანიშვილისა რა ბრალია. აბა რუსულად ჭსთარგმნეთ, თუ ცუდად არის ნათქვამი. ახლა კიდევ ამას იტყვიოთ, რომ თუ „გინახავს“ იმის მნიშვნელობისაა, როგორც გინახავ, ინახავს და სხვა ამ გვარი, მაშინ უნდა ითქვას „გინახავს“ ხელ-ფეხ-შეკრული ვი არა, „ხელ-ფეხ-შეკრულს“ მართალია ამ აზრის ზმნა ამ განკლებლობაში მიცემითსა ბრუნვას თხოულობს, მაგრამ ეგ რომ ისევ ის ძველებური ქართული იქმნება! გაიგეთ, რომ გ თუმანიშვილი ახლი-სათვის არის თავ-დადებული, ახლიათვის.

იგივე გ. თუმანიშვილი ამბობს ამ რიგად ჟორჟდანდენის მი-
ართ: (15 გვერდი).

«შესათა ვარ შემოვარტყა სილუბი ჩემს თავსაო.»

უჭი აი სიტყვის მშვენიერება! «ახალა» რა კარგი რამ ხარ.
თქვენ გი ამის მაგიერ მძიმედ იტყუადით: შესათა ვარ ერთი ლაშა-
თიანად შემოვსილქა ჩემი თავიო. იტყუადით მაგრამ რა? ეგ ძველი
ქართული იქნებოდა და არა ახალი.»

ერთგან გიდეგ ცოლი ჭდალატობს ქმარს და საყვარელს ეუბ-
ნება:

«ჩუმ-ჩუმად უნდა წავიყვანოთ საქმეო.»

ახლა იტყვიან «ჩუმ-ჩუმად საქმის წყევანა რა არისო? დმერთმა
ნუ იცის თქვენი თავი! «ახალი» ქართულია და ის არის:

ჟორჟდანდენი 19 გვერდზედ ამბობს:

«მე თქვენ გუებნებით, რომ გამყოფილი არა ვარ ჩემი (ს)
ცოლის შერთვითა.»

ახლა არც ეგ მოგუწონებთ, თქვენს ამბავი რომ ვიცო მშვე-
ნიერი ქართული ვიან: გამყოფილი არა ვარ ჩემი ცოლის შერთვითა.
ახლა დაიყინებთ, თუ ეგ მშვენიერია, მაშ ესეც მშვენიერი იქნუ-
ბაო: გამყოფილი არა ვარ ჩემი თავითა. ეგ ახალი ქართულია, ბა-
ტონებო, თორემ მეც ვიცი ძველებური ქართული ასე უნდოდა: გამ-
ყოფილი არა ვარ ჩემის თავისა, ჩემის ცოლის შერთვისა. ახა ახლა
რუსულად ჭსთარკმნეთ, რა კარგად გამოვა სიტყვა-სიტყვითა...

18 გვერდზედ აზნაურს სიმამრს ჭსურს გლეხს სიმეს უგოყინოს
და კთხრას, რომ თუმცა ჩემი ქალი შენი ცოლიაო, მაგრამ ცოლი-
ბით არ უნდა ახსენაო, როცა ჩემს ქალზედ ლაშაჩაკობო და ამის
შეგიერ გ. თუმანიშვილი აი. რა ლამაზს ქართულს ზღაპარაკებს:

«მართალია, ჩემო სიმეკ, თქვენი ცოლია (ჩემო ქალია),
მაგრამ ნება არა გაქვი, გმას ეს (რა?) დაუძახოთ»

არც ეს ახალი ქართული მოგუწონა? ფუ! თქვენს სიბრძნეებს!
დანდენი 20 გვერდზედ ამბობს:

«ჩემი შვილები ახსნაურები იქმნებიან და მე კი მოტუეუბული ქმარი.»

ახლა იტყვი, რომ ასე გამოდის: ჩემი შვილები ახსნაურები იქმნებიან და მე კი მოტუეუბული ქმარი «იქმნებიან», რადგანაც მეორე ნახევარს ფრაზისას თავისი საკუთარი ზმნა უნდა და არა აქვს. მართალია ძველი ქართული ასე იტყოდა: ჩემი შვილები ახსნაურები იქმნებიან და მე კი მოტუეუბული ქმარი ვიქნები და მარტო ზირკელის ზმნის ანაზრად არ დაადებდა ამ ფრაზას, მაგრამ ეკ ძველი იქმნებოდა და არა საუკარელი «ახალი.»

22 გვერდზედ გ. თუმანიშვილი ასე აღაპაჩკებს დანდენას სივამის:

«მერე დარწმუნებული ვა ბძანდებით თქვენ ნამბობის წინამდელიღი?»

ნუ თუ არც ეს მშკენიერება მოგწონთ! არ მოგეწონებათ, გიჩი თქენი ხასიათი. თქვენებურად ასე იტყოდით: «მერე დარწმუნებული ბძანდებით, რომ რასაც ამბობთ, მართალია?» მაგრამ ეკ კიდევ ძველი ქართული იქნებოდა და არა «ახალი.» უერებიდამ ბამბა გამოიღეთ.

ერთს ადგილას (29 გვერდი) ესეოს მუქარას ათქმევენებს გ. დუნიშვილმა ერთს მოქმედს ზიკს:

«ღიკნათ რომ ამას მართალ-მართალი უთხრან.»

ახლა იტყვი, რომ ამას მუქარად ვკრავინ ვერ მიიღებს, ვერც ვაიგებენ და არის «მართალ-მართალი.» თუნდა რუსულად ჭსთარგმონო. უმეცრებს ბეკრი რამ შეჭსძლებია!

ერთს ადგილს კიდევ ჩვენი მშკენიერად შეტყველი გ. თუმანიშვილი აი რა მშკენიერად ათამაშებიანებს სიტყვას უორუდანდენს:

«მე! მე უნდა მოკსთხოვო ბოღიში იმის უკან...» (ამ სიტყვაზედ აჯაგებს თავის კარცებს დანდენი).

ძველი ქართული ასე გამოჭსთქვამდა: მე! მე უნდა მოკსთხოვო ბოღიში იმის შემდეგ... და იმის უკან კი ბოღიშის მოთხოვნა მართლა გასოცრავს: მაგრამ თქვენ რა იცით «ახლის» უადრი. მაშინ არის უფრო კარგი როცა გასოცრავს.

რაც უნდა თქვან, ფრანტები დასდევნ იმას, ვისაც ეს მოსწონს.

ახლა იკითხვით რა „ესა“? თქვენ თქვენებურად ასე იტყვოდით: რაც უნდა თქვან, ფრანტები დასდევნ იმას, ვისაც ეს დევნა მოსწონს. დასდევნ იმას ვისაც ეს მოსწონს, რილათა ვითომ ცუდი? სიტყვა „ეს“ ან „დასდევნს“ მიერთდება ან „იმას“. ძველებურ ქართულს სხვაგვარად არ ეუოფოდა „ეს დასდევნის“ მოწონება, ანუ „იმასი“, მაგრამ ახალ ქართულს კი ძალიან უხდება. ახა თუნდა გ. თუმანიშვილსა ჭკითხეთ.

ესეც სამეოფო სახუთი კია, რომ დაგემტვიცლოთ: რა კაცი გამოგვიჩნდა გ. თუმანიშვილი ჩვენის სიტყვიერების აღსაყვავებლად, მაგრამ დამიჭერია ვერ თავი, მოხიბლული, მოჯადოებული ვარ იმ ახალის სიტყვიერებით, რომლითაც გ. თუმანიშვილმა გამშობდა ჩვენი ღარიბი ენა და მისი მიმოხვრა. მაგალითებ:

„მინდა ცოტად მაინც ვინანო (ვერც ძველ ქართულად ეს გვითარგმნია და ვერც რუსულად) დიდ-კაცობა და ვასიამოვნო თავი ჩემ ტკბილ ქების გაგებით“ ანუ: „დაწმუნდნენ ისინი თავიანთ ქალის უნამუსობა(ზედ)ში“; ანუ: „გვრძნობ ჩემს სისხლს შენს საქციელში“; ანუ: „სწორედ მართებს მაგას ბრზობა“. ანუ: „ეს ისეთვე მაცნებებს, როგორც ამას წინანდელი იმის მიტყუება ჯოხითა“; ანუ: „უნდა გავგზავნო ჩემ სიმაძრის და სიდედრის დასაძახებლად და ეს (რა ეს?) გავხადო („ეს გავგზავნო“ გავხადო) ჩემ ცოლთან გაურის მიზეზად“; ანუ: გამოაშქარდება (ძველებურად გამოაშქარავდება) სუქში“; ანუ: მიზეზი ამ ღამურ (?), მოგზაურობისა (რუსულად: *точного путешествія*); ანუ: „მე თქვენ გახვეწებით ნუ ცამცემთ ჩემ ჭირვეულ დედ-მამას; (ეს კი ძველ ქართულად ვერ ითარგმნება, რუსულად კი კარგად გამოდის: *невыдавайте меня моимъ упрямымъ родителямъ.*) ახლა იტყვიით, რომ გ. თუმანი-

შეიღს რუსულიდამ აწამც თუ სიტყვა სიტყვით უთარგმნა, ბრუნვაც კი გადმოუღაო, ბრუნვაც! აბა რუსული «КВАРТАЛ»-ი ქებას როგორ არ შესახადო ამისთანა „ახალის“ ქართულის მოესკელსა. ამის მხახველი „ОБЗОРЪ“-იც აღტაცებაში როგორ არ მოვიდოდაო!... ანუ: „დაუსჯელად დაგდონ სკიი მომკლავი“ (ძველებურად ძველელი.) ანუ: „თქვენ დაგსაჯვენ“ (ძველებურად: თქვენ დაგსჯიან), ანუ: „ოღონდ კი დაღუპოს იმით ის, ვინც თავის ავგაცობით მიიყვანა ის ამ გაჭირებაში“ (ვიმ ამ ნაცვალ სახელების სიმრავლეს! რა რიგად უხდება: „იმით, ის, ვინც, თავის, ის, ამ!“ მართლაც რომ ახალია, რა გესმით თქვენ?).

არ გეუთ ამდენი მაგალითები. ათასი მაგისტანა სხვა მაგალითებია გ. თუმანიშვილის ნაწერში, სულ ანდაზად გადავა ხალხში, თორემ ნახავთ. მე კი მაგას ვერ მოვესწრობი, დღე ნაკლები ვარ. არც ესა დაიკრებთ, რომ გ. თუმანიშვილს, აგრე მდიდარს ქართულის ცოდნით, აგრედ ღაზათიანად მოუბარს, აგრე „სუბუქს“, აგრე „მჭკერ-მეტყველობის შექმნათ“ (გ. თუმანიშვილის სიტყვაა ესეც და ამიტომაც ასე მშვენიერია) აღჭერილს დიდი საბუთი მიუძღვის, რომ „იკერისა“ ქართულს უწუხებს. ამას გარდა ხედავთ თუ არა, რა ღვაწლსა ქსდება ქართულს ენას, რომ მაგისტანა ყოველის ფრით შემკული ენა შემოაქვს ჩვენში „ახალის“ სახელითა. სამდიდრე ენისა მჭკერ-ღონაში მაგას ჭქვიანს, თორემ მოჭყოლინართ თქვენ და იმანით — ეც ქართულდ არ არისო. ტყუილათ კი არ გიგოჟიხებთ გ. თუმანიშვილი, რომ თქვენ „აუქვითო“, თურმე ნუ იტყვიოთ ღუჭვა კი არ ჭლომებია ქართულს, უღაპვსა სდომებია ისე როგორც გ. თუმანიშვილი დაუღუჭვად ჭულაპაძის. აბა ბატონი ნიკოლაძე, რატომ არ მოუწონე და იმანც კი ისურვა გადუღავა ქართული, მაგრამ „დროებაში“ ასეთი ძვალი გაუჩინდა ხახში, რომ უღარ ევადრა.

ეს ხომ დაგიმტკიცეთ, რომ გ. თუმანიშვილი ენის შესახებ პირველი მოკნეა ჩვენში და „ახალის“ ქართულის დამადრეკელი, ახლა

მისი სიბრძნისა, ცოდნისა, აზრების და სწეობის სიხალეს და წარ-
ხინებულებას დაგიმტკიცებთ.

დავიწყეთ ჯერ იქიდან რას ეძახის გ. თუმანიშვილი „ახალს
ჰეშმარიტებას“. იმიტომ-რომ ეს არის იმისი დედა-აზრი, საიდანაც
როგორც ანტეშუშის ჭიანს, გ. თუმანიშვილს თავისი ქსელი გამოაქვს.
გ. თუმანიშვილი ეძახებს:

„ნუ დავიწყებთ, რომ ვერც ერთ ისეთ ახალ ჰეშმარიტე-
ბას ვერ იტყვით თქვენ დღეში (მე დღეში, თუ ჩემს დღეში),
რომელიც კი როდისმე არ თქმულიყო.“ (57 გვ.)

გესმით, ბატონებო, ეს ჰეშმარიტება სრულიად მთლიად „ახალია.“
ჯერ ეს არავის უთქვამს ქვეყანაზედ, გ. თუმანიშვილის მეტს. მაშა-
სადამე ეს ჰეშმარიტება ახალზედ უფრო ახლია და ამის შემდეგ კი-
დეც იტყვით, რომ გ. თუმანიშვილი ღირსი არ არის ქვეყანაზედ ხსენ-
სიუბედის? ახლს თქვენ იტყვით, რა გუერთ რომ ახალი რამ ჰქვია?
ეგ ახალი ჯერ უკვლახზედ უწინაჲეს ჰეშმარიტება უნდა იყოსო. ეგ კი
ტყუილია. თუ ტყუილი არ არის, მას ნიუტონსმა ისეთი ჰეშმარი-
ტება არა ჰქვია რა, რომელიც სხვას არ ეთქვასო, მეტყვით თქვენ?
კაცობრიობის შეცნობება, ხოთქმის ყოველ დღე დღისასწაუ-
ლბის ჰეშმარიტების შეძენას და მას შეცნობენი ტყუილად ფართი-
ხურობებო და წინაღ თქმულს ჰეშმარიტებას ახლად გვეუხებოდნო?
მას კაცობრიობის ტვინი წაჰკეპ-უგუჰკეპობას თამაშობსო და სხვას
არასფერსო. მას მართლს ქვეყანაზედ ისეთი ჰეშმარიტება არავის უთ-
ქვამსო, რომ სხვას არ ეთქვასო. ათას ამისთანაებსა მკითხვეო, მაგრამ
ვაი რომ გ. თუმანიშვილის სიბრძნე არა მქვს, თორემ მე ვიცოდა რა
მას უხს მთავრდით. ერთის სტყვით, თქვენ ჰსტყუით და გ. თუმანიშვი-
ლი მართალია. თუ მართალია არ იყოს, „დროების“ კრიტიკისი რად
იხსენებდა გ. თუმანიშვილს „ჭკვიან კაცად“? რუსული „Кавказ“-ი
რად გადუხდიდა ქართველობის მაგიერ მადლობას? ბატონი ნიკოლაძე
რად იკადრებდა გ. თუმანიშვილის ნაწერის განხილვასა, ბატონი ნი-
კოლაძე!... თქვენ ეს უკანასკნელი საბუთი ცოტა გკონიათ. ერთს

დროს ღუიბლანს დაჩივებს აძლედა როგორ უნდა მოეკლას საფრანგეთსა. ხუმრობას!...

იქნება ეს არ დაუჯეროთ. თუითონ ნიგოლაძემ გვაუწვა „გვრებულში“ ეს ამბავი იტრახანო, იტყვიო. ნიგოლაძემ და იტრახანა!... ვის გაუგონია იმისაგან ამისთანები. იქნება ესეც ტრახანობა გვინათ, რომ ამ იანგის, „Орвице“-ის რომელღაც ნომერში, ნიგოლაძემ აუწვა ქვეყანას, რომ მინდოდა სენატორის ჯამაგირს დღესვე მამცემერო. იქვე უმეტარნო! საიფრანგეთში იანვარში ახალ სენატორების ამოჩვენა იყო და რა საკვირველი იქნებოდა რომ ნიგოლაძე იქ მიეწვიათ და სენატორის ჯამაგირი მიეცათ, აქ შეუძლებელი რა აჩის, თქვე საწყლებო? საკვირველია, ღმერთმან იცის კაცი! რომ ჰსთქვა შენის შირით კაცი მრგვალიო, მშინვე დაგიჯერებენ და ციმბირში გიჯრამენ თავს და შენს თავსეც რომ ჰსთქვა თუ შინდა დღესვე სენატორობას მამცემერო, არ დაუჯერებენ, ტრახანობსო, იტყვიან. უგემური რამა ხარ, ადამიანო!

... ამას თავი დაგანჯობოთ. ე. თუმანიშვილი მაგარზედ დგას და ანობს, ახალი ჭეშმარიტება ის კი არ არისო, რომელიც ვერ სხვას არ ეთქვასო, არამედ უოველი ჭეშმარიტება (თუნდა ძველიც?) ითვლებოდა ახალ ჭეშმარიტებათ მხოლოდ მაშინ როცა ხალხი იმას ვერ ვერ შერიგებიაო. (57 გვ.)

ახლა ამასაც იტყვიო სიბრძნე არ არისო. ახლა ვიდევ ამისთანა მატალითს შეტყვიო: მზე დგას და დღა-მიწა ტრიალებს. ეს ჭეშმარიტებაა, მეცნიერებით დამტკიცებული, ხალხს იგი არ ჰსჯერა, არ „შერიგებია“ ამ ჭეშმარიტებას, მაშასადამე ქვეყნისათვის მიწის ტრიალი ახალი ჭეშმარიტება იქნებაო, მაშასადამე დღეს გაზოთ „დროება“ და „ივრია“ ამ ჭეშმარიტების გაგრძელებას რომ შეუგინენ, ე. თუმანიშვილი ტაშს დაუკრავსო და აღტაცებით დაიძახებსო: „აი ახალ ჭეშმარიტებას ჰქადაგობენო ხვენი უერხალ-გაზოთებო.“ ამისთანა ტაშის მკერძს ხომ გიჟს დაუძახებენო. თქვენისთანები დაიწყო დაუძახებენ თორემ, სხვანაირი იტყვიან, რა კაცია ეს ვილანა არისო.

ერთის სიტყვით, მე არ ვიცი. ეს კი ვიცი, რომ აქ გ. თუმანიშვილი ისა ჭსთქვა, რაც სხვას არამც თუ უთქვამს, ფიქრდაც არ მოჭსვლია, იმიტომ რომ შეტად „ჭკვიანი კაცი“ ყოფილა. „ახალი“, რომლისათვის აგრე უელ-მოდგინეთ და სამართლიანად წუწუნებს გ. თუმანიშვილი, აი ამას ჭქვიან, აი. თქვენ კი მოჭყელისხართ და იძახით: „ჭკუასა შენსასა ნუ მიჭსტემ დამანებსასა“.*) ჭკუა რომ არ დააძინოთ და მართლა თქვენი რჩევა ასრულდეს, გ. თუმანიშვილს რაღა გასაკადი ექნება. ბატონებო, ის კაცი, რომელიც გამოსულა და თამაშად იძახის: „უურნალს შეუძლიან უძღვნას თავისი ფურცლები მხოლოდ ძველს, დამჭგნარს ამებს, მაგალითებრ ისტორიულ, ეტნოგრაფიულ და საზოგადოდ (???) შეცნიერების (???) სტატის“ — თქვენ ის კაცი ხუმრობა კაცი გგონიათ. კაცს, რაც საზოგადოდ ქვეყნის შეცნიერებაა, მკრად და მჭგნარ რაღათაც განდომისა და თქვენ აქ მოჭყელისხართ და ამისთანა საზოგადო შეცნიერების უარ-ყოფილს, რასა კვირველია, გიყს დაუძახებთ. ბარაქალა თქვენს კადნიერებას, ბარაქალა!... ახა თუ კაცები ხართ და ამისთანა ახალს ჭეშმარიტებას იტყვიოთ სადმე რომ ისტორია, ეტნოგრაფია და საზოგადოდ შეცნიერება — ერთი რაღაც ძველი, დამჭგნარი ამბებისა. დმერთი, რჯული კერ გაჭბედავთ. მას ნურც ამ თავზედ ხელ აღებულს გპირობას მოუწონებთ. აი გიორობა, რომელიც არც ერთს ანბანში არა ჭსწერია. მართლს ამბობს გ. თუმანიშვილი: „მარტო გენიოსს შეუძლიან გამოჭსძებნონ უეჭვო ჭეშმარიტებაში (ამ ხანად გვირობაში) ახალი, ჯერ არ ნახული სხეულისაგან კუთხეები“. გ. თუმანიშვილი გენიოსისა და ამიტომაც „გამონახა ახალი ჯერ არ ნახული მხარე გვირობისა“. თქვენ რას მიჭსწვდებით ამას, ყოვლად ბრმანო!

ახლა ჩვენმა გ. თუმანიშვილმა, როგორც ყოველის ივერში ახლის ჭეშმარიტების მქადაგებელმა, ესე იგი იძისთანაების, რომელთაც

*) ეს სიტყვები მოჭყავს გ. თუმანიშვილს „ივერიიდან“ და აზრს იწუნებს, სანახანოა. სანახანოა მართალია, მაგრამ ეგ ანბანი რომ კარგად შეესწავლა გ. თუმანიშვილს მეტი არ იქნებოდა, თუ შენც იტყვი მკითხველო.

ხალხი ვერ შერეკებია, ბძანა: „გმირობა, გიყვარდეს მოძვე შენიო ვითა თავი შენიო, თავ-გაწირვით გიყვარდეს სამშობლოო, ქართველებს ვაყვარებო, თავისუფლების, ძმობის და სიყვარულის სურვილი ქვე ყნისათვის, — ყოველს ანბანში ჭსწერიაო და ამაებზედ სიმღერა ვერაფრად მკჭაშნიკებო.“

ახლა თქვენ იტყვიან, მთელი კაცობრიობის ლიტერატურა ვი არა მარტოო, არამედ, მთელი მოძრაობა სულ ამ საგნებს დაჭსტრიალებსო, ყოველი იმაზეა მიმართული ათადამ ბაბადამ დღემდე რომ ამ საგნებს ფართო გზა გაუგაფონ ადამიანის ცხოვრებაში; ყოველისფერი მეტრიკება, ხელაგება, სულ იმაზედ აღამებს დღეს, რომ თავისუფლება, თანასწორობა და სიყვარული მოძმისა ჩამოაგდოს კაცთა ურთიერთობაში, ყოველი საქმე რაც უნდა აიღოთ ამ ქვეყნიერებაზედ ამ საგნებიდამ არის წარმომდგარი და მასვე მიერთშეკაო; და მინამ ადამიანი ადამიანად იქნებოა ეგ ჭეშმარიტებანი ყოველთვის ახალი იქნებიანო და ყოველ დღე საჭირონი, თუნდა ათას ანბანში ეწეროსო და გ. თუმანიშვილს ვი არ მოსწონსო, და გ. თუმანიშვილს ვი არ ეჭაშნიკებო ამ საგანზედ მღერაო, მეტყვიან თქვენ. აბა რა ჭკუის პატრონიანო? დიად, დიდის ჭკუისა, თუნდა „დრეკების“ კრიტიკოსსა ჭკითხეთ. ბატონო, ახალი აზრები თუ გინდათ ეგ არის. რით ვერ შეიტყუეთ რომ გ. თუმანიშვილი აგებულ ვი არ არის ახალის აზრებით, გადაგებულა. მამ ახალი აზრა არ არის, რომ აქაო და არტანში ჩინოვნიკები ცუდლუტობენო და აქ „აღმანახში“ ჩვენი გ. თუმანიშვილი ხტის სინარულით და სიძველით დაწუნებულს ჩვეს ყურნალ-გაყვარებულს იძახის: „უერთი ადილო დვდელსაც წასცდებო“.

ვაი ჭკუის სითხეს გ. თუმანიშვილისას ვი არა, თქვენსას, რომ წერილის საგნად გმირობა, მამულისათვის თავის გაწირვა, მშობა, თავისუფლება, თანასწორობა, სიყვარული ქვეყნისა მოგწონთ და არა ჩინოვნიკების ცუდლუტობა, რაგორც გ. თუმანიშვილს.

არა თქვენ გ. თუმანიშვილს ვერ იცნობთ, ვერა. აბა ესა უფუტეთ რა რიგად ახალ-ახალ ჭეშმარიტებს ჭქადაგობს. ერთს გვერდზედ

რომ ერთს იტყვის მეორესედ იმავე საგანზედ სულ სხვას ამბობს და ამით თვითონ გაჩვენებს, რომ ახალი ჭეშმარიტება ცალკე კანონსა თვისაც ისა უოცილად რაც მთელის ხაზისათვის, ესე იგი, იმისთანა ჭეშმარიტება რომელსაც ვერ შერიგებია კანდი.

გ. თუმანიშვილი ამბობს, რომ ჩვენი ყურნალ-გაზეთობა ამ ბოლომდინდრის ძალიან გამოიცვალა და ასე განაგრძობს:

ესაკვირველი არ არის, რომ ამ ცვლილებასზედ არაფერს ხმას არ იღებს, იმიტომ რომ ყველ ახალ საქმეს, ცვლილებას თან მოჭყავს ახალი კატები» (33.).

იქვე იგივე გ. თუმანიშვილი ამას ამბობს: „ქართულ მწერლობაში გი ისე წავიდა საქმე, რომ მისი მდგომარეობა თუმცა ძლიერ გამოიცვალა, მაგრამ იმისი შედროშენი გი ისე იმისი დარჩენი, რომელსაც იყენებს ადრე (33).

ახლა ამას იტყვიტ რომ აქ ლოლიკა არ არის; ვერ ამბობს, ახალ საქმეს, ცვლილებას თან მოჭყავს ახალი კატები და შერე გი თვითონვე მოჭყავს მაგალითად რომ ვსტყუიო, ათ ქართული მწერლობა თუმცა ძლიერ გამოიცვალა, მაგრამ ახალი კატები არ მოჭყავს, ისევე ძველები დარჩენი. ლოლიკა რომ არა ჰქონდეს ჭკვიან კანად რად აღიარებდა „დროების“ კრიტიკასი. თქვენ ჰსტყუიო. ეგ იმას ნიშნავს, რომ გ. თუმანიშვილი ახალ ჭეშმარიტებას ჰქადაგებს, ესე იგი, იმისთანა ჭეშმარიტებას, რომელსაც თვითონაც ვერ „შეგრიგებია“ და სხვისა გი დავი არა ჰქვს. თქვენ მე ვიცი არც ეს ლოლიკა მოგეწონებათ:

„ჩვენს საზოგადოებაში, ამბობს გ. თუმანიშვილი, ისე არ არის გავრცელებული ცნობისმოყვარეობა რომ შეიძლება დეს ვმ გვარ დიდ გაზეთების გამოცემა როგორცსაც ვხედავთ ევროპაშიო.“

იგივე ამბობს შემდეგ: „ქართული პატარა გაზეთი გი შემდგობს მოკლებული, ჩვენ ქვეყნის ამბობსაც გი ვერ ასწრობს შეგვარტუობისა დროზე“.

ახლა აქ შეტყუათ კიდევ: ერთი შეგვარტუობინეთ რა უნდა გ. თუმანიშვილს: დიდი გაზეთიო თუ პატარაო. ვაი თქვე საწყულებო! მუხრალბით! აი ის უნდა რომ „დიდს ქვაბში არ ეტეოდეს, პატარაში“

დარე იყოს, როგორც ერთი ქართული ზღაპარი ამბობს ხალხ აქედან დაუწუნებთ ლოდიკას, შე კინცა:

„ჩქარა გიგო, დროებაში“ ამბობს გ. თუმანიშვილი, რა იამებს მკითხველებს და მას აქედ ის ცდილობს უოკელ ღონისძიებით დააკმაყოფილოს იმათი დღიური (?) მოთხოვნა. (37).

იგივე ამბობს ემაკ წერილში: „ქართულ უურსალ გასეთები (მასსადაშე „დროებაც“) არ აჭყვას საზოგადოებას, არ დაუგრა იმას ტაში და არც უკიეინაო.“

ახლა ამას იტყვიოთ რომ ორში ერთი ტყუილი უნდა იყოს. ან აჭყვას, ან არ აჭყვას, და ჭოც და არაც ერთსა და იმავე საგანზე რა სათქმელიაო. არა, ბატონო, ახალი ჭეშმარიტებაა, ესე იგი, იმისთანა ჭეშმარიტებაა, რომელსაც ერთგან ურიგდება თითქო გ. თუმანიშვილი და მეორესედა „ვერ ურიგდება.“ ახალი ჭეშმარიტებაა შეთქი, რომელსაც მდაბიურად „წაკეპ-უგუჯუგის“ ცუცხლს ეძახიან. არც ხქ არის რაღა თქენის აზრით ლოდიკა:

ესხანდელს მწერლობას ასე ჭსწუნოს გ. თუმანიშვილი: „გიევარდეს მოძმე შენიო, თავგანწირვით გიევარდეს სამშობლო, ამ გვარ უეჭვო ჭეშმარიტებაზედ (საეჭვო ჭეშმარიტება რასაკვირველია უძვეობისი იქმნებოდა) სიმღერა ესლა, როდესაც თავში გვიკრევა (მწერლობისა რა ბრალია რომ გერევათ) ათასი ძნელი გადასაწვევტი საგანი; სწორედ მოგახსენოთ ვერაფრად შექსნიეება.“

წინანდელს ჩვენ მწერლობას ვი ამით იწონებს იგივე თუმანიშვილი:

არა, იმას (წინანდელს მწერლობას) სხვა მიზანი ჭქონდა, წავიდოდა ივლიდა, ბულიდა და ბოლოს მანც ან გლეხის თავისუფლებაზედ დაჭკუგუნებდა, ან ხალხის სიყვარულზედ და განათლებაზედ.“

რაო? რას გიხარინათ? ახლა ამას დანიიუებთ, რომ გ. თუმანიშვილისაგან დაწუნებული, „გიევარდეს მოძმე შენიო“ უირო ვრცელი მოძღვრებააო სყოველთაო სიყვარულისა, თავისუფლებისა და განათლებისა, ვიდრე მარტო გლეხის თავისუფლება, მარტო გლეხის სიყვარული და განათლებაო. ახლა იმას ჭეკიეინებთ და იტყვიოთ, თუ უწინ ჩვენი მწერლობა გ. თუმანიშვილის აზრით, მოსაწონი იყო, როცა ისე ფართოდ არ აშლევინებდა ფრთას საყოველთაო სიყვარულ-

საო, ესა უფრო არ უნდა მოსწონდესო, როცა მისისავე სიტყვით, საუბრედავო სიყვარულს ჰქადაგობსო და არა მარტო გლეხობისასაო. თქვენ ეგრე გგონიათ. ის კი არ იცით, რომ სოციალური ბრძოლები თუ ცოტას ჰქადაგებთ წამალია, თუ ბევრს—საწამალია, გ. თუმანიშვილია. ებ კარგად იცის, როგორც ეტყობა.

რამა? განა უფროდობს იქნება კაცმა ჰსთქვას: ეს კაცა გუშინ მომწონდა იმიტომ რომ ჰკვიანო იყო და დღეს კი არ მომწონს, იმიტომ რომ დღეს უფრო ჰკვიანიაო.

ეგ ეგრე უნდა იყოს ჩვეულებრივ კაცისათვის, და არა გენიოსისათვის, რომელმაც „ახალი“ მხარე გამოუნახა ლოდიკასა. თქვენ რა გესმით! კარგი შეჭურჭლე ის არაა, ვინც ყურს იქით გამოაბამს საითაც ჰსურს. ესეც არა გცოდნიათ, თქვე საწყებო.

„შესქმნილია ჩაჭმატა (ჩაუმატა რომ იყო ძველი ქართული იქნება) რი-სამი ანგელოზი სული მაგალითებ ლირის უმცროსი ქალი, გორდელია და კენტი, რომელნიც თავანთ კეთილ-შობილურ მოქმედებებით (ახლა არც ამ ობიექტს მოიწონებთ) თითქმის გვანუგეშებენ: ნუ დავარდებით, გამხსნევიდით, ცარიელ ღონეს და შეძლებას არ დარჩენიაო ბურთი და მოედანო. ქვეყანა მარტო ავანსაკებით არ არის სავსეო, ვეცადოთ და ამ ჩვენ ცოდვილ მიწაზე აჭყავდებამ ძმობა, თავისუფლება და თანასწორობა.

1879 წ. იგივე გენიოსი გ. თუმანიშვილი ბძახებს (51 გვ) „უედა ამ კარგად იცოდა აგ. წერეთლის ლექსების გამოსვლამდინამ, რომ ძველი ქართველები განთქმულნი იყვნენ თავანთ მამაცობით და მეტად მოსაწონი წამ არის თავისუფლება, ძმობის და სიყვარულის სურვილი“. მერე უმატებს: ამ გვარადამის უმის ძველ ჰუმანიტუბების (კაფ უფრო, კიდევ პაბები!) დამტკიცება ვერ დააყრიდა ხეირს ვერც ჰოეტს აგ. წერეთელსე უფრო ნიჭიანს.

არა, თქვენმა მზემ, არც აქ არის განა ახალი მხარე ლოდიკისა. „გამონახული“ გენიოსის გ. თუმანიშვილისაგან. მე თქვენი ხასიათი რომ ვიცი, უჭრით არც აქ აღიარებთ და დაცინვით იტყვიან: შარშან თვითონ თუმანიშვილი გვამხსნეკებდა და გვიქადაგებდაო, „ნუ დავარდებითო, ვეცადოთ და ამ ჩვენ ცოდვილ მიწაზე აჭყავდებამ (მამ

შარშან ჯერ არ ყოფილა აჭყვავებული) ძმობა, თავისუფლება და თანსწორობა; წელს კი ის ჯერ არ აყვავებული ძმობა, თავისუფლება, თანასწორობა ადამის ყმისა ჭეშმარიტებანი არიან იმავე თუმანიშილის სიტყვითა. ანა, ბატონებო შარშანაც ეგ ჭეშმარიტებანი „ადამის ყმისანი“ იყენენ, მაგრამ გიორგი თუმანიშილმა აქ ერთი ხერხი იხერხა. წაიტყუა აკ. წერეთელი, ახა ერთი მაგაგბსედ დაწერე რამეო და მერე მე ვიცნო. დაწერინა და მერე უკვირნა: „იი ეგ ხომ ადამის ყმის“ ჭეშმარიტებას ჭქადაგობო, მოგატყუე, თუ არაო! დიად, ბატონებო, აკ. წერეთელი გამოიტყუა და მერე უკვირნა, თორემ თუ ეს ჭეშმარიტება წელს ადამის ყმისანი“ არიან, შარშანაც ხომ ისე იქნებოდნენ, ეს, ბატონებო, „ვოენნაია ხიტროსტო“ გახლავთ, ის „ვოენნაია ხიტროსტო“, რომელიც ეგრე სსასხელოდ ბატონმა ნიკოლაძემ იერ-უცვლელად შარშან მოიგონა. თქვენ რა გესმით! სადა ხართ? ამ ქვეყანაში ჰსცხოვრობთ, თუ რა ჯანაბაში ხართ, ქვეყანა იცვლება, ახალ-ახალი აზრები შემოდის, ბავშვაც კი ისწავლავოენნაია ხიტროსტო ნიკოლაძის მეოხებით და თქვენ კი რაღაც ძველ ლოლიგას დჭკავთ. ამის გარდა, გ. თუმანიშილმა მართალი ბძანა, რომ ამ გვარ ადამის ყმის ჭეშმარიტებაებისა დამტკიცება ვერ დააუწიდა ხეირს ვერც პოეტს აკ. წერეთელსე უფრო ნიჭიანს. ხოლო თუმანიშილს კი კეთილი დააყარა შარშანაც და წელსაც: ბატონმა ნიკოლაძემ აქო, „დროების“ კრიტიკოსმა აქო, „НАВРАЖЬ-მა“ აქო. მეტი კეთილას დაყრა გინდათ? აკ. წერეთელს რად წაუხდა ეგრე საქმე და გ. თუმანიშილს რად გაუკეთდაო, იკითხვით? იმიტომ რომ აკ. წერეთელი ნიჭიანი პოეტია და გ. თუმანიშილი კი გენიოსი. რაც თუმანიშილს მოუხდება, ის აწეენს აკ. წერეთელს, ძლიანაც აწეენს, თუ აკ. წერეთელიც დამეთანხმება.

„გიევარდეს მოძმე შენია ვითა თავი შენია, თავგაწირვით გიევარდეს სამშობლო. ამ გვარ უეჭვო ჭეშმარიტებასე სიმღერა, — ამბობს გ. თუმანიშილი, — ეხლა, როდესაც თავში გვერკვა ათასი ძნელი გადასაწევეტი საგანი, სწორედ მოგახსენოთ, ვერაფრად გვეჭაშნიკება“.

მაშ რა ეკაშნიკება გ. თუმანიშვილსაო, ზმანებთ თქვენ. ან რის
 ბმანებს ამასედ გენიოსი გ. თუმანიშვილი: „აბა ერთი დაქსატა სწორედ
 ილ. ჭავჭავაძეს რამდენჯერ (ახლა ამას იტყვიოთ: რამდენჯერს თვლან
 უნდა და არა ხატვა...!) ეცემა ხოლმე ტალახში ჩვენებური კაცი; რამ-
 დენჯერ (რატომ არა ჰსთვლი ილ. ჭავჭავაძე) იგიწებს ის თავის
 წმინდა გრძობას, რომ ღმერთით არ მოკვდეს, რამდენ (დათვალე
 ილ. ჭავჭავაძე!) სიღვს ჰსჯამს, რომ უბრალოდ არ დაიღუბოს, რა
 გარემოება (აქ კი ჰსჯარე ილ. ჭავჭავაძე) აგვლეკინებს თავს სწავრო-
 ბილეში ახალგაზდას (?) შეძლებულ, განათლებულ კაცს, რა ადვილია
 ჩვენებური გლეხის დაქცევა და დანელება და დარწმუნებული იყავით“
 და სხვათა.

ახლა არ შეურაცხებთ და იტყვიოთ, რომ ახალგაზდა განათლებუ-
 ლი კაცი თავს იგლავს საზრუნობილეში სწორედ „იმ ადამის უმის ჭეშ-
 მარიტებაებისათვის,“ რომელთაც ასე იწუნებს სიმკვლეით ჩვენი გ.
 თუმანიშვილი. ახლა იმას იტყვიოთ, რომ „რას ადვილია ჩვენებური
 გლეხის დაქცევა და დანელება“ ახალი ჭეშმარიტება არ არისო? ძმო-
 ბა, თანასწორობა და თავისუფლება ზღვაო და ეს გლეხისათვის უ-
 ლის ტვიტილი ვა ბატარა წყაროაო, რომელიც იმ ზღვას ერთვისო და
 გ. თუმანიშვილი კიო ზღვას გერს ხედავსო და მარტო წყაროში
 გვიჩვენებს ჭეუჭალაობასაო. ბევრს რასმე იტყვიოთ, ენას ძვალი არ
 აქვს.

გ. თუმანიშვილი სხვა კაცია, არა ჩვეულებრივი, თქვენ რა გეს-
 შით! აი თუნდა ერთი კიდეც მაგალითი: „ოითქმის მთელი ქართული
 ზოეზიარა, ამბობს იგი: ჩაყლაბული იყო ვარდ-ბუღბუღის, წაღვოტის
 და იადონის, აშოეთ ჭიკჭიკის სიმღერებითაო“. ტყუილია თუ? ებ
 მართალიაო, მეტყვიოთ, მაგრამ თუ ებ ზოეზიარის წუნია, მაშ რაღად
 დაბეჭდა თავის სამაგალითო ალმანახში (1879 წ.) სამი ლექსი თ.
 მ. თუმანიშვილისაო; მაგ ლექსებში მაგ ვარდ-ბუღბუღის და აშოეთ
 ჭიკჭიკის“ მეტი სხვა რა არისო? არაფერია, მაგრამ რაც გენიოსი
 იქმს, ის სხვამ არ უნდა ქმნას; აი ამ მაგალითით გასწავლით თქვენ

გენიოსი გ. თუმანიშვილი, რომ შეიძლება კაცი სიტყვით ერთი იყოს და საქმით სხვა.

ბოლოს გ. თუმანიშვილმა უფრო ცხაკვლად დაგვანახვა რა. არის პოეტია და რა გვარი თხზულებანი უნდა ითარგმნოს ქართულად. „მშვენიერი ელენა“ 1879 წ. აღმანახში ამის ნიმუშად დაეკუდა ჩვენმა ჭკვიანმა კაცმა და ეს ამბავი ისე მოეწონა „დროების კრიტიკოსს“, რომ თემდა პირ-და-პირ ქება არ შეასხა, მაგრამ ეს კი აუწყა მთელს ქართველობას, რომ მთელმა ეკრძამ გათარგმნათ ეს „მშვენიერი ელენა“. მერე რა ნიჭიანი მთარგმნელიც შესხედრის! 106 გვერდზედ უკანასკნელი სტრიქონები უკეთესი აღმასია იმ გვირგვინისა, რომელიც ძლიერმა ხელმა გ. თუმანიშვილისამ დააღვა თავზედ თ. დ. ერისთავისა, ნეტავი იმას! ავ. წერეთელი, შე დაღვრილი, მოჭყლიხარ და იმასის: ძმობა, თავისუფლება, თანასწორობაო. ერთი და-ავლე ხელი ამისთანა საგანს როგორც „მშვენიერი ელენა“ და! მას გ. თუმანიშვილის ქება შენთვის შეტია? გუფს არ კიფხანს. შერით იმისთანა სახელი როგორც დაინარჩუნა თ. დ. ერისთავმა იმ „მშვენიერის ელენის“ თარგმნითა.

მოდო და „კაკაზი“ მადლობას ნუ განუცხადებდა გ. თუმანიშვილს ქართველების მაგიერ ამ პოეტურ, ამ პატრიოსურ, ამ სწობის ამამადლებელ თხზულებისათვის!... აი გენიოსებმა რა იციან! ერთის უბრალო რამით უკვდავებს მოიპოვებენ ხოლმე. დ. ერისთავი დიდა ხანია განსეუდ გაუფლა ქართულს ლიტერატურას, ოთხი-ხუთი წელიწადი არა უწერია რა *) მაგრამ ამ ხანგრძლივმა დრომ უნარკობლოდ არ ჩაუტარა ქართველობას. თურმე ნუ იტყვით, „მშვენიერი ელენა“ უთარგმნია. გინაროდეს, ქართველობავ! თქვენდა სასიხარულოდ უნდა მოგახსენოთ რომ ეც „მშვენიერი ელენა“ არც ერთს პატრიოსურს უურნალში, თუ „აღმანახში“, თუ წიგნში არსად ჩართული არ. ყოფილა. მაგრამ? აქ გ. თუმანიშვილი ახალის სიტყვით გამოვიდა მოე-

*) როგორ არ უწერია: ორი ფელტონი დასწერა

დანხედ და სხვაგან კი უოკლეგან სულ „დამკვნას და დაბეუღს ჭეშმარიტებას ლეკვენ“. ახალი გინდოდან და ახალიც ქართველებისათვის „მშვენიერი ელენა“.

ამით ვათავებთ გ. თუმანიშვილზედ ბასს. ახლა სხვა მხრივ მოგვიფიქროთ, ბატონო „ივერიის“ რედაქციავ,

როგორ გაბედეთ და ისე წარამარად ასხენეთ იმისთანა გამოხეილი კაცები როგორც დ. ერისთავი და ბატონი ნიკოლაძე? ჭა, როგორ გაბედეთ? „ვიღაც ერისთავია“. რა ჰსურხის! როგორ თუ „ვიღაც“! კაცმა ორი ფელტონი დაწერა „Тифлисский Вѣстникъ-ში“ და მაინც ამბობთ, ვიღაცაო! კაცს ორი თუ სამი წელიწადი ადმინისტრატორობა ჰქონდა „Тифлисский Вѣстникъ-ისა“ და მაინც ამბობთ, ვიღაცაო! კაცმა ისე მშვენიერად უადმინისტრატორა, რომ კინადამ ბოლო არ მოუღო „Тифлитский Вѣстникъ-სა“ და მაინც ამბობთ, ვიღაცაო! კაცი ერთბაშად მაგ დახალ თანამდებობიდან ასკეზდა მაღალ რედაქტორობამდე და მაინც ამბობთ, ვიღაცაო! თუშტა მერე თვითონვე გაუგებდა ეს ამბავი და დაიძახა „Обзор-ის“ მოხუებით; კა! მე ვინ და რედაქტორობა ვინაო და მაინც ამბობთ, ვიღაცაო! კაცმა „მშვენიერი ელენა“ ჭსთარგმნა ზნეობის აღსამაღლებლად და თქვენ მაინც ამბობთ, ვიღაცაო! კაცი ბოლოს „Голосъ-ის“ ჯგენტად გახდა და მაინც ამბობთ, ვიღაცაო! ვიღაცაო!... ფუ, თქვენს სინჯავს, რომ რაღაც გაჯიუტდებით ხოლმე, არა სამსახურის დანახვა არ იცით!... ეგრე წარამარად როგორ იხსენიებთ დ. ერისთავს! შეგ შინებოდანთ, რომ ჯავრის ამოხსურელად, მაშინვე „Голосъ-ში“ დაამკურებს წერილს და თქვენს რედაქტორს კი არა, იმის ბანკსაც დააბიზლებს საზოგადოების წინაშე. აი ვნახდეთ თუ არა.

ეგ დ. ერისთავის ვიღაცობა კიდევ არაფერი. ბატონი ნიკოლაძე ტრუ-შენტელად გამოგვაკეთ. გვსთქვათ, ეგ ბჭემა გ. თუმანიშვილმა წამოიყრანტალო, ამბობთ თქვენ. მაგით თავს გერ იმარტ-

ლებთ. პირველა რომ გ. თუმანიშვილი ბაშვი არ არის—ეს ერთი, მეორე რომ ბატონი ნიკოლაძე...

„იყო ქართლ-კახეთს, იმერეთს ნიკოლაძე სვიანი, ერთი ცუდღეუტი, მანქანა, გულ-მშრალი, ენა-წყლიანი „*Одвоих-ისა*“ რედაქტორი, ტუიბუღით ნახშირისანი და თვით ტრახანსა, უებრო, რაღაც ჩხაკანა ხმისანი.

ერთხელ ბძანა: „გეოტუვიით საქმეს ერთგან სასაუბაროსა, ჩემი სახელი ამ ქვეყნად რამ უნდა დაამკვანაროსა? მე ვარ, რაცა ვარ მწერალი მწერალთა საბაღნაროსა, მინდოდეს სვალვე დაკვადები სენატის მაღლა თაროსა.

„ცოტა რამ ნაკლი სასუსტე მჭირს ჭირთა უფრო ძნელია, ტრახანსი ვიცი ხანდისხან, რა ვქნა სოფელი ჭრელია, სხვა რომ არ მაქვს, თვით ვკეხავ, მითამ რა საწუნელია, იქ ყველა გამოგვადგება, საცა რომ ხალხი ბნელია.

„დროებაში“ ჭკადრა: „ბატონო, რად ბძანეთ თქვენი მკვეხლობა, როცა მწერალი ტრახანსობს უმეტესთ ჭმართებსთ ჯერობა,“... თქვენივე მეტობს უკველსა სული და ტურთა იერობა,— ამას გვარწმუნებს თვითონვე თუმანიშვილის მკვეხლობა.

მაგას ნუ ბძანებთ, ბატონო, ჯერ ვარდი არ დატკნობია, თქვენი თათბირი ავიცა, სხვისა კარგისა მჯობია, იკვეხე მინამა ხალხი თქვენი არ არის მცნობია, როცა გიცნობენ, მაშინ კი *прощай*, გამარჯობა!...

თქვენი თანამშრომელი.

ივერია.

გამოდის თვეში ერთხელ, თითო წიგნად.

ხელის მაწერა შიილება: ტფილისში, გ. ხარკვიანის წიგნის მა-
დაზიასში, ქვაშუეთის ეკლესიის ქვემოდაჲ, და აგრეთვე თვით რედაქ-
ციასში, სოფლადაჲსი, კონსტანტინოპოლის ქუჩაზე, № 4; ქუთაისში, ანტონ
ლორთქიფანიძის ბიბლიოტეკაში.

შ ა ს ი:

ტფილისში მცხოვრებთათვის: მთლიან წლით — 11 მან.

ექვსის თვით — 5 მ. ჯ 50 კ.

გარეშე მცხოვრებთათვის: მთლიან წლით — 12 მან.

ექვსის თვით — 6 მ. ჯ 50 კ.

XI. კორრესპონდენცია კახეთილამ

გალმამხრის გზა-ტყეცილი. ბოგირები. ს. შილდიდგან ნეკრესში. სურათი ნეკრესიდან ნეკრესის მონასტრის აღწერა. ლამის თვეა ნეკრესში მლოცავთაგან და მათი დროს გატარება. ს. შილდა. ს. ყვარელი და დრუჟინა (მილიცია). ს. ყვარლის შარა ს. ძველი-გავაზი ქირნახული გალმა-მხარში. თავგები ქი-ზიყში. ს. შაქრიანის ცხელი წყლები და ს. შაქრიანის მღვდლის მდგომარეობა. თელავის საზოგადოების ფიზიონომია. იმედი თ. ნ. ზ. ჩოლაყაშვილზედ. თოვლი და მისი შედეგი ყოველისფრის ძვირობა თელავში. ჩვენი იმედი „დეპოზს“ 14 იანვარი და თ. ნ. ჩ. მომჭირნეობა. ყასპების ახალის ტაქციის და პირობის უქ-მად ჩავლა—და ყასპების ოინები თელავში. აქციზის ჩინოვნიკი უფ. პასენკო. ბლალჩინების აღმორჩევა თელავის მაზრაში. თე-ლაველი ტერტერების დავი-დარაბა ურთი-ერთ შორის. ერთი ფრიად სასიამოვნო და სასარგებლო განკარგულება თ. ნ. ზ. ჩ.—შვილისაგან თელავის მაზრაში. რ. ძამსასვილი—ც. . . . 136.

XII . პოლიტიკა

ახალი ხანა საფრანგეთის ისტორიისა. განახლებული სე-ნატი. მინისტრების ახალი პროგრამა. მაკამაგონის გადადგომა სამსახურილამ. უულ გრევის ამორჩევა რესპუბლიკის პრეზიდენ-ტად. გამბეტა—დეპუტატო პალატის თავ-მჯდომარე. დიუფორი გამოდის სამსახურილამ და იშლება მინისტრობა. ვადინგტონის მინისტრობა. რა მოჰყვა ყველა ამ ცვლილებას. სრული ხლობა პალატისა მთავრობისადმი და მთავრობის გაუბედაობა. კომმუნა-ლების საქმე პალატის წინაშე. სიტყვა ლუი-ბლანისა. 150

XIII. სხარტულა, („ივერის“ რედაქციას). 173.

**გაბთალოვის და ჩაქვიანის წიგნის მალაზიეაში
ისჯიდება:**

დედა-მნა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი, შედგენილი ი. ბოგებაშვილისაგან, მეორე შესწორებული გამოცემა. ფასი ექვსი შაური. **თუ** რომელიმე შკოლა იყიდის ერთათ ოც-და-ათ ეგზემპლიარსა, ან რომელიმე კერძო პირი ასსა, ეგზემპლიარი დაეთმოება უყულო ხუთ შაურათ, ყდიანი ორ აბაზაოა.

ბუნების ძარკი, ანუ საკითხავი წიგნი; დაბალ კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა, შეესებული და შემკული სურათებით და საქართველოს კარტით; ფასი ხუთმეტრი შაური. **ეგზემპლიარი** დაეთმოება თოთხმეტ შაურათ, ეინც ერთათ იყიდის თხუთმეტ ეგზემპლიარსა, — ცამეტ შაურათ, ზინც ერთათ წაიდებს ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და სამ ზბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა. მისაც მსურს ყდაში გადაკრული იყიდოს, უნდა ამ ფასს დაუმატოს სამი შაური.

ძარკული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, მეშვიდე გამოცემა, ფასი ორი შაური. ისჯიდება ბრიტუროვის წიგნის მალაზიეაში კუკიის ხილთან, ბალის პირდაპირ. —

საქმეაწვილო კონა, პირველ დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, გამოცემა პირველი, ფასი ექვსი შაური.

პატარა ბიზლიო ტიპა, პირველი წიგნი, შეიცავს სამს საყმაწვილო მოთხრობასა; ფასი ორი შაური.